პოლ ლაფარგი

კაპიტალის სარწმუნოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს კ კ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

ტფილისი

1923

ᲛᲘᲠᲩᲮᲘᲚᲐᲫᲔ ᲛᲔᲠᲘᲡᲘ
ᲛᲘᲠᲩᲮᲘᲚᲐᲫᲔ

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კოლ ლაფარგი

კაპიტალის სარწმუნოება

ССССР მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-ნუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Грушашвили
Академия наук ГССР

ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

ტფილისი
1923

ს.ს.მ.უ.ს. პოლ. განყ. 1-ლი სტ. ნ. ლ. და ვ. მთ. მართ. ტ. 2000 ც.

კაპიტალის სარწმუნოება

I. ყრილობა ლონდონში.
II. მუშათა კატეხიზმო.
III. დარიგება კურტიზანკასი.
IV. კაპიტალისტის წიგნი.
V. კაპიტალისტის ლოკვები.
VI. დიდება ოქროს.
VII. ჩივილი იობისა—როტშილდის, კაპიტალისტისა.

კაპიტალის სარწმუნოება

I. ყრილობა ლონდონში.

სოციალიზმის საქმის წარმატება ევროპისა და ამერიკის გაბატონებულ კლასებს საგონებელში აგდებს. რამდენისამე თვის წინად განათლებულ ქვეყნიერების ყოველ კუთხიდან ლონდონში შეიკრიბნენ ადამიანები, რათა გამოენახათ ნამდვილი და ჭეშმარიტი საშუალებანი სოციალისტურ იდეათა შემოსევის წინააღმდეგ. იქ, ინგლისის მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შორის, დაინახავდით ლორდ სოლისბერის, ჩემბერლენს, სამუელ მორლეის, ლორდ რუდოლფ ჩერჩილს, ჰერბერტ სპენსერს, კარდინალ მენინგს. თავადი ბისმარკი სპირტის წარმოების კრიზისმა დააბრკოლა და ამიტომ წარმომადგენლად მან თავისი უახლოესი მრჩეველი, ებრაელი ბლეიხრედერი გაჰგზავნა. ახალ და ძველ ქვეყანათა მსხვილი მრეწველნი — ვანდერბილდი, გულდი, სუბერჟი, კრუპპი, დოლფუსი, დიც-მონი, შნეიდერი ზოგი პირადად თვითონ დაესწრო ყრილობას, ზოგს რწმუნებულები ჰყავდა.

არასოდეს არ ყოფილა ასეთი ძმური ერთსულოვნება ამ ხალხში, რომელნიც ძლიერად განირჩეოდნენ ერთმანეთში როგორც რწმენით, ისე ეროვნებით. პოლ ბერი მონსინიორ ფრეპპელს უჯდა გვერდს, გლადსტონი პარნელს ართმევდა ხელს, კლემანსო ფერერის ელაპარაკებოდა, ხოლო მოლტკე მეგობრულად ეკურკურებოდა დერულედსა და რეინაკს რევანშის საკითხზე. იმ საქმის წინაშე, რომელსაც ისინი იმ ხანად გაეერთიანებინა გამქრალიყო მათი პირადი გაბოროტებული გრძნობები, გამქრალიყო მათ შორის არსებული პოლიტიკური უთანხმოებანი და პატრიოტული ქიშპობა.

პირველად პაპის ლეგატმა დაიწყო ლაპარაკი:

„ადამიანები ქვეყანას ჰმართავენ უხეში ძალის ან გონების ძალის დახმარებით. სარწმუნოება ოდესღაც ჯადოქარი ძალა იყო, ძალა, რომელიც ადამიანის გონებას სავსებით დაუფლებოდა: სარწმუნოება ასწავლიდა ადამიანს ბედისადმი უხმოდ მორჩილებას და მიწიურ ცხოვრების ტანჯვათა ატანას ზეციურ ბედნიერების დაპირებით. მაგრამ სოციალიზმი, ჩვენი დროის ბოროტი დემონი, განაგდებს

რა სარწმუნოებას, ტვირთმძიმეთა გულში თვითონ იბუდებს. იგი, სოციალიზმი, უქადაგებს მათ: ნულარ ელით საიქიოს ბედნიერებასო. იგი აცხადებს — აქვე, დედამიწაზე შევქმნი სამოთხესაო. იგი მიმართავს დაქირავებულს ადამიანს და შესძახებს: „შენ გყვლეფენ, ადამიანო! აღსდეგ და ამბოხდი“! იგი მუშათა მასსებს, ოდესღაც ასე მორჩილი რომ იყვენ — საერთო აჯანყებისაკენ მოუწოდებს. აჯანყებისკენ, რომელიც განათლებულ საზოგადოებას დაარღვევს, უფლებამოსილ კაცებს მოსპობს, ოჯახს დააქცევს, მდიდრებს მათ დოვლათს წაართმევს და ღარიბებს გადასცემს, ხელოვნებას და სარწმუნოებას მოსპობს, შავბნელი ბარბაროსობით აღავსებს იგი ქვეყანას... რანაირად დავამარცხოთ ყოველგვარ ცივილიზაციის და პროგრესის ეს მტერი? რა იარაღი შევაგებოთ სოციალიზმს? თავადს ბისმარკს, უფალს ევროპისა, ნავუქოდონოსორს, დამამარცხებელს დანიის, ავსტრიისა და საფრანგეთისა — ამარცხებენ სოციალისტთა წრიდან გამოსული მეჯღანეები. საფრანგეთის კონსერვატორებმა 1848 და 71 წლებში ბევრად იმაზე მეტი სოციალისტი დახოცეს, ვიდრე ბართლომეს ღამეს ეროტიკოსები. მიუხედავად ამისა, ამ ბუმბერაზულ ბრძოლაში დაქცეული სისხლი, ვითარცა ნამი კეთილი, უფრო მეტად უწყობს ხელს სოციალიზმის თესლის აღმოცენებას მთელს ქვეყნიერებაზე. ყოველ ასეთ სისხლის ღვრის შემდეგ სოციალიზმი კვლავ განახლდება ხოლმე და მისი ძალა წინანდელზე უფრო მეტად ცხოველდება. ამ ჯადოქრობას უხეში ძალა ვერ ერევა. რა ვქნათ, როგორ მოუაროთ საქმეს“?

ყრილობის დამსწრე მეცნიერნი და ფილოსოფოსნი — პოლბერი, ჰეკკელი, ჰერბერტ სპენსერი რიგ-რიგობით დგებოდენ და წინადადებას იძლეოდენ: სოციალიზმის დასამორჩილებლად მეცნიერება გამოიყენეთო. მონსინიორ ფრეპპელმა მხრები აიჩეჩა.

— მაგრამ განა სწორედ თქვენი წყეული მეცნიერება არ აძლევს კომუნისტებს ურყევ დებულებებს?

— თქვენ ყურადღებას არ აქცევთ ნატურალისტურ ფილოსოსოფიას, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ — უპასუხა ჰერბერტ სპენსერმა. ჩვენი მეცნიერული თეორია ევოლიუციისა ამტკიცებს, რომ მუშათა დაქვეითებული სოციალური მდგომარეობა ისეთივე გარდუვალი მოვლენაა, როგორც საგანთა დაცემა, რომ იგი ბუნების უცვლელ იმანენტურ კანონთა აუცილებელი შედეგია. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ უმაღლეს კლასებში უფლება-მოსილნი არიან ყველაზე ნიჭიერნი, ყველაზე უკეთესად შეგუებულნი ცხოვრებას, რომ ისინი განუწყვეტლივ უმჯობესდებიან და ბოლოს და ბოლოს შეჰქმნიან ინდივიდუუმთა

ახალ რასას (მოდგმას), რომელიც არაფრით ემგვანება დაბალ კლასების ამ ადამიანისებურ პირუტყვებს, რომელთა გამგებლობა შესაძლებელია მხოლო ლახტით ხელში [1]).

მადლობა ღმერთს, თქვენი ევოლიუციონური თეორიები ვერასოდეს ვერ ჩამოდის ძირს, მუშათა მასებს ვერ აღწევს. ეგ თქვენი თეორია გააცოფებდა მათ, სასოებას წარუკვეთდა, რაიც ისე სწრაფად იწვევს ხოლმე ხალხის ამბოხებას. გააწყვეტინა სიტყვა სპენსერს ბ-ნმა შნეიდერმა. ჭეშმარიტად, თქვენი მეცნიერება ფრიად ბეცია ბატონო ტრანსფორმისტებო. [2])

ამბა, როგორ იფიქრეთ, რომ შესაძლებელია თქვენი მრავალ იმედთა წარმკვეთი და გულის გამტეხი მეცნიერება დაუპირდაპიროთ ისეთს მომხიბლავ ზმანებას, როგორიცაა ქონებათა განზოგადება, ნიჭის თავისუფალი განვითარება და სხვა, რომელითაც იტაცებენ სოციალისტები მათგან აღტაცებაში მოსულ მუშებს. თუ ჩვენ გვსურს დავრჩეთ უფლებამოსილ კლასად, თუ გვსურს კვლავ განვაგრძოთ ცხოვრება იმათ ხარჯზე, ვინც შრომობს - აუცილებელია ამ ნადირ ხალხის გონების გართობა საიქიოს შესახებ ლეგენდებითა და ზღაპრებით. ქრისტიანული სარწმუნოება ამ როლს მშვენივრად ასრულებს. თქვენ, ბატონო თავისუფალნო მოაზრენო, მას ნდობა დაუკარგეთ.

თქვენ მართალს ამბობთ, მან ყოველი პატივისცემა დაჰკარგა- უხეშად შეაწყვეტინა შნეიდერს პოლ ბერმა. თქვენი სარწმუნოება დღითი-დღე ჰკარგავს თავის სამფლობელოს ნაწილებს. მაგრამ ჩვენ თავისუფალი მოაზრენი რომ არა ვყოფილიყავით, რომლებზედაც ასე ჯავრობთ ფრეპპელი, ყველა მღვდლები, პასტორები და რაბინები წმიდა დუქნისა სიმშილით ჩაძაღლდებოდით. მოსპეთ ჯა-

---

[1]) ჩვენ ძლიერ ვწუხვართ, რომ ადგილის უქონლობის გამო იძულებული ვართ მოვათავსოთ ხსენებულ კონგრესზე წარმოთქმული სიტყვათა მხოლოდ რეზიუმე. ამ კონგრესს დაესწრნენ მსოფლიო მეცნიერების მნათობნი, აგრეთვე მნათობნი რელიგიისა, ფილოსოფიისა, ეკონომიისა და მრეწველობისა. ჩვენ ვურჩევთ, ვინც მოისურვებს ამ საგნის უფრო ფართოდ გაცნობას—წაიკითხოს სპენსერის სტატია, რომელშიაც იგი ქებათა-ქებას ასხამს ციხის საკანსა და მათრახს, როგორც დაბალ კლასების მოსარჯულებელ საუკეთესო საშუალებას. ეს სტატია, რომელსაც სახელად ჰქვიან „მომავალი მონობა", დაიბეჭდა „Contemporar Review". კომუნიზმი—ეს მომავალი მონობაა, წინასწარმეტყველებს სახელგანთქმული ბურჟუაზიული ფილოსოფოსი.

პ. ლაფარგის შენიშვნა.

[2]) ტრანსფორმიზმი—ეს არის მოძღვრება ორგანიზმების ერთმანეთისაგან წარმოშობის შესახებ—ევოლიუციის, ე. ი. თანდათანობითი ცვლილების გზით.

მაგირი და სარწმუნოება გაჰქრება... მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მე სიცილად არა მყოფნის ღმერთი და ეშმაკები, ვინაიდან მე მხოლოდ ჩემის თავის — ჩემის ფიზიკური და გონებრივი სიამოვნებისა მჯერა, სიამოვნებისა, რომელსაც განვიცდი — სწორედ ამიტომ მე აღვიარებ სარწმუნოების საჭიროებას. იგი, სარწმუნოება, როგორც თქვენ სთქვით, ადამიანის მსგავს პირუტყვის გონებას ჰხიბლავს, იმ ადამიანისა, რომელსაც ფცქვნიან. საჭიროა მუშებს ეგონოთ, რომ სიღატაკე ის ოქროა, რითაც ისინი საიქიოს ცხონებას იყიდიან, მათ უნდა სჯეროდეთ, რომ ყოველად მოწყალე ღმერთი სიღატაკეში ამყოფებს მათ, რომ შემდეგ ზეციური სამეფო დაუთმოს სამკვიდროდ. მე ფრიად მორწმუნე ადამიანი ვარ... სხვებისთვის. მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა! რა საჭირო იყო ამისთანა სასაცილო, სულელურ სარწმუნოების გამოგონება. რაც უნდა მსურდეს, მე მაინც საჯაროდ ვერ ვიტყვი: მრწამს, რომ მტრედი ქალწულთან დაწვა და ამ კავშირისგან, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობასა და ფიზიოლოგიას — იშვა კრავი, რომელიც შემდეგ წინდაცვეთილ ებრაელად იქცა მეთქი.

თქვენი სარწმუნოება არ ეთანხმება საგრამატიკო წესებს — დასძინა მენარ დორიანმა, რომელიც თავის პურიზმით ყოყლოჩინობს. ღმერთი ერთი და სამპიროვანი ძარადიულ ბარბარიზმებს წარმოშობს: მე ვფიქრობთ, მე ვაცხინკვებთ, მე ცხვირს ვიწმენდთ.

— ბატონებო, ჩვენ აქ იმისთვის კი არ შევყრილვართ, რომ კათოლიკურ სარწმუნოების შესახებ ვიკამათოთ — წყნარად შენიშნა კარდინალმა მენინგმა. ჩვენ აქ იმიტომ შევყრილვართ, რომ განვიხილოთ საკითხი, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან მომავალი სოციალური უბედურება. თქვენ, რასაკვირველია, შეგიძლიანთ ვოლტერის წაბაძვით სარწმუნოება სასაცილოდ აიგდოთ, მაგრამ თქვენ მაინც ხელს ვერ შეუშლით მას, რომ იგი დარჩეს დაბალ კლასების გაუმაძღარ სურვილთა შემკავებელ ზნეობრივ მუხრუჭად.

ადამიანი რელიგიოზური ცხოველია, — სთქვა დამრიგებელის კილოთი პოზიტივიზმის პაპმა პიერ ლაფიტმა. ოგიუსტ კონტის სარწმუნოებაში არაა არც მტრედი, არც კრავი: და თუმცა ჩვენს ღმერთს არც ფრთები აქვს, არც ბანჯგვლიანია იგი მაინც ჰეშმარიტი ღმერთია.

თქვენი ღმერთი კაცობრიობა, შეეკამათა მას ჰეკსლი — უფრო ნაკლებად რეალურია, ვიდრე ხუჭუჭთმიანი ქრისტე. ჩვენი დროის სარწმუნოებანი სოციალურ საფრთხეს გვიმზადებენ. ჰკითხეთ ბ-ნ გირსს [1]), რომელიც ღიმილით გვიგდებს ყურს: განა კომუნიზმით არ

[1]) რუსეთის მეფის მინისტრს.

არიან დაავადებულნი რუსეთში ახლად აღმოცენებული რელიგიოზური სექტები ისევე, როგორც შეერთებულ შტატებში? მე აღვიარებ სარწმუნოების აუცილებლობას. ისიც მჯერა, რომ ქრისტიანობა ჯერ კიდევ ივარგებს ავსტრალიის ველურებისა და პაპუასებისთვის, მაგრამ იგი ცოტა მოძველებულია ევროპისთვის. რაკი ჩვენ სარწმუნოება გვესაჭიროება, იმას მაინც ვეცადეთ, რომ იგი კათოლიციზმის პლაგიატი არ იყოს და არც სოციალიზმის ნასახს შეიცავდეს.

რატომ, რატომ არ შეიძლება ღვთის-მეტყველების მიერ გამოგონილი სათნოებანი ლიბერალურ სათნოებანით შევსცვალ ოთ, ჩაერია ლაპარაკში მარე, რომელსაც ჰსურდა შემთხვევით ესარგებლნა და თავისიც ეთქვა. რატომ არ შეიძლება: სარწმუნრება, სასოება და სიყვარული შევსცვალოთ თავისუფლებით, ერთობითა და ძმობით? და სამშობლოთი, დასძინა დერულედმა.

ეს ლიბერალური სათნოებანი მართლაც და ახალი დროის მშვენიერი მონაპოვარია ჩაურთო გირსმა. მათ დიდი სარგებლობა მოუტანეს ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას, საზოგადოდ ყველას, ვინც და სადაც ის მოსთხოვს, როგორც მასსების დასამორჩილებელი საშუალება. ოდესმე ჩვენც ვისარგებლებთ იმით რუსეთში. თქვენ, ბატონო დასავლეთელნო, გვასწავლეთ ჩვენ, თუ როგორც დავჩაგროთ თავისუფლების სახელით, ტყავი გავაძროთ ყველას თანასწორობის სახელით და სახელითა ძმობისათა ვხვრიტოთ ხალხი. თქვენ ჩვენი მასწავლებელნი ხართ. მაგრამ ზემოხსენებულნი სამი სათნოება ბურჟუაზიული ლიბერალიზმისა როდი იკმარებს სარწმუნოების შესაქმნელად. გამოვა რაღაც ნახევრად ღმერთი. საჭირო გახდება უმაღლესი ღმერთის ძიება.

ერთად-ერთი სარწმუნოება, რომელიც მომენტის მრთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ესაა სარწმუნოება **კაპიტალისა,** ენერგიულად წარმოსთქვა დიდებულმა ინგლისელმა სტატისტიკოსმა ჟიფფენმა. კაპიტალი ეს რეალური, ყველგან არსებული ღმერთია. იგია ბრწყინვალე ოქრო და მყრალი პატივი, ცხვრის ფარა და ყავის მარცვალი, წმინდა დაბადების გროვა და მთელი ფუთა პორნოგრაფიული სურათებისა, ბუმბერაზული მანქანები და მთელი დასტა ინგლისურ, წყალგაუვალ პლაშჩებისა. კაპიტალი ის ღმერთია, რომელსაც ყველა იცნობს, ყველა ჰხედავს, ყნოსავს, ყველა ხელით ეხება და ყველა იგემებს. იგი ყველა ჩვენს ხუთ გრძნობისთვის არსებობს. ეს ერთადერთი ღმერთია, რომელსაც ურწმუნოება არ დასტაკებია. მეფე სოლომონი მას აღმერთებდა, თუმცა მისთვის ყველაფერი იყო ამაო

ამაოთა. შოპენჰაური მასში ჰხედავდა დამათრობელ აღტაცებას, თუმცა სხვამხრივ ყველაფერზე გულგატეხილი იყო ერთ-ერთი ძლიერ შეგნებული მისი მიმდევართაგანი. ყველა დანარჩენი. სარწმუნოებანი მხოლოდ სიტყვაა, ადამიანთა გულის სილრმეში კი კაპიტალი მეფობს.

ბლეიხრედერმა, როტშილდმა, ვანდერბილდმა, ბონტუმ, ყვითელ ინტერნაციონალის ყველა ქრისტიანებმა და ებრაელებმა ტაში დასცხეს და შესძახეს:

ჟიფფენი მართალია! კაპიტალი — აი, ღმერთი, ჭეშმარიტი, ერთად-ერთი ცხოველმყოფელი უფალი ჩვენი!

როდესაც აღტაცება ცოტა მინელდა, ჟიფფენმა განაგრძო:

ზოგიერთებისთვის კაპიტალის არსებობა საშინელებაა. ზოგიერთებისთვის იგი ისეთი ნაზია, ვითარცა სიყვარული ახალგაზრდა დედისა. როდესაც კაპიტალი რომელსამე ქვეყანას ეწვევა, იგი შედის, როგორც ქარიშხალი, იგი მტვრად აქცევს ადამიანებს, ცხოველებს, ნივთებს. როდესაც ევროპის კაპიტალი ეგვიპტეს ეცა, მან ხელთ იგდო ფელლახები, მოაშორა ისინი მიწასა და ხარებიანათ, ურმებითა და თოხებიანად სუეცის არხზე გადისროლა. თავის რკინის ხელით მან წელში მოხარა ისინი და აუტანელი შრომა დააკისრა. გავარვარებულ მზით დამწვარმა, ციებ-ცხელებით გატანჯულმა, წყურვილითა და შიმშილით შეწუხებულმა ოცდაათი ათასმა კაცმა ჩაჰყარა თავისი ძვლები ხსენებულ არხის ნაპირებში. კაპიტალი ხელში იგდებს ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე ადამიანებს, ცქვიტებსა და ხალისიანებს, თავისუფალთა და მხიარულებს. იგი ამწყვდევს მათ ათასობით ქარხნებსა, ფაბრიკებსა და მაღაროებში. იგი იქ ამ ადამიანებს ფეჩის ასანთებ შეშად ხმარობს, მათს სხეულსა და სისხლს აზავებს ნახშირსა, საფეიქრო მაქოსა, მანქანებსა და მათს სასიცოცხლო ენერგიას მკვდარ მატერიად აქცევს. როდესაც კაპიტალი ამ ადამიანებს ანთავისუფლებს ისინი გამოფიტულნი არიან, დაუძლურებულნი და უდროოდ დაბერებულებს ჰგვანან. მათგან მხოლოდ-ღა ჩონჩხი რჩება, რისთვისაც ერთმანეთს ებრძვიან ანემია, სურავანდი და ჭლექი. ადამიანის გონება ფრიად მოხერხებულია საოცარ და საშინელ ჯადოქრობათა გამოგონებაში, მაგრამ იგიც ვერ შესძლებს ბოროტებასთან საბრძოლველად ასეთს სასტიკ, საშინელ ღვთაების შექმნას. მაგრამ რანაირის სათნოებით, მორჩილებით და სიყვარულით ექცევა ეს ღვთაება თავის რჩეულთ! მსოფლიოში საკმარისი სიამოვნება აღარც კია, რომ კაპიტალმა თავისი უფლებამოსილი რჩეულები სავსებით დააკმა-

ყოფილოს! იგი პროლეტარების გონებას ჰფიტავს და აუძლურებს იმით, რომ აიძულებს გამოიგონონ ახალი სიამოვნებანი, ახალი, გაუგონარი საჭმელ-სასმელი უფლებამოსილთა უკვე გულასასუყებულ მადისათვის. მათ გამოფიტულ გრძნობათა გასაღვიძებლად ათასობით ეროკება კაპიტალი მათკენ ნორჩ გოგოებს. იგი სრულს საკუთრებად აძლევს მათ მკვდარ ბუნებას და ცოცხალ არსებას.

აღმოჩენილ ჭეშმარიტებით აღტაცებულთა ყრილობის მონაწილეებმა გადარეულებივით ფეხების ბრახუნი დაიწყეს და იძახოდნენ: კაპიტალი აი, ჩვენი ღვთაება! კაპიტალი არ სცნობს არც სამშობლოს, არც საზღვრებს, არც ფერს, არც მოდგმას, არც ჰასაკსა და არც სქესს!

იგია ღვთაება ინტერნაციონალური, უნივერსალური; იგი თავის გავლენას დაუმორჩილებს კაცობრიობის ყველა წრეს წამოიძახა პაპის ლეგატმა. ღვთაებრივ თავდავიწყებას მიცემულმა. უარვყოთ წინანდელი სარწმუნოებანი, დავივიწყოთ ჩვენი ეროვნული ქიშპობანი, ჩვენი სარწმუნოებრივი უთანხმოებანი, გავერთიანდეთ სულითა და გულით, გავერთიანდეთ, რომ ჩამოვაყალიბოთ მცნებანი ახალი რელიგიის, **კაპიტალის რელიგიისა**!

* * *

ლონდონის ყრილობას ისტორია აღნიშნავს ისევე, როგორც აღნიშნავდა იგი მსოფლიო ყრილობებს, რომელზედაც კათოლიკურ სარწმუნოების დოგმატებს იმუშავებდენ. ეს ყრილობა ორ კვირას გრძელდებოდა. არჩეულ იქნა კომისია ყველა ეროვნებათა წარმომადგენელთაგან. ამ კომისიას დავალებული ჰქონდა ყრილობის ოქმების დამზადება და იქ გამოთქმულ აზრებისა და მოსაზრებათა მთლიან დოქტრინად ჩამოყალიბება. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ამ კომისიის ზოგიერთი ნაშრომი, რომელთაც ამ წიგნში ვბეჭდავთ.

II. მუშათა კატეხიზმო.

კითხვა. რა გქვიან სახელად?

პასუხი. დაქირავებული მუშა.

კითხვა. ვინაა შენი მშობლები?

პასუხი. მამა ჩემი დაქირავებული იყო, აგრეთვე პაპა ჩემი და მამის პაპა. ჩემ მამა-პაპათა მშობლები ყმები და მონები იყვნენ. დედა-ჩემს **სილარიბე** ჰქვიან.

კითხვა. საიდან მოდიხარ და საით მიემგზავრები?

პასუხი. მე სიღარიბიდან გამოვსულვარ და სიღატაკისკენ მივდივარ. სიღატაკეს მე მივაღწევ საავადმყოფოს გზით. ამ საავადმყოფოში ჩემს სხეულს გამოიკვლევენ და კარგად შეისწავლიან პროფესორები, რომელნიც კაპიტალის რჩეულ და უფლება-მოსილ ადამიანების ჯანმრთელობას უდგანან დარაჯად. პროფესორები ჩემი სხეულის შესწავლით აღმოაჩენენ მკურნალობის ახალ-ახალ საშუალებებს ზემოხსენებულ უფლება მოსილთა მოსარჩენად.

კითხვა. სად დაიბადე?

პასუხი. ერთ-ერთ დიდი სახლის სულ უკანასკნელ სართულში, სახურავ ქვეშ. ის სახლი მამაჩემმა და მისმა ამხანგებმა ააშენეს.

კითხვა. რა არის შენი სარწმუნოება?

პასუხი. კაპიტალი.

კითხვა. რა მოვალეობას გაკისრებს შენ კაპიტალი?

პასუხი. ორი მთავარი მოვალეობა მაქვს: ხელი ავიღო საკუთარ უფლებებზე და ვიშრომო. კაპიტალის ბრძანებით მე ხელი ავიღე მიწის საკუთრებაზე, — ხელი ავიღე ჩვენს მასაზრდოებელ დედამიწაზე, მის წიაღში დაბუდებულ სიმდიდრეზე, მის ზედაპირის ნაირ-ნაირ ნაყოფზე, მის ნაყოფიერების საიდუმლო ძალაზე, რომელიც ასე მძლავრად იფეთქებს ხოლმე მცხუნვარე მზის სხივებს ქვეშ. კაპიტალის ბრძანებით მე ხელი უნდა ავიღო ჩემს საკუთარ პიროვნებაზე. რაკი სახელოსნოში შევდგამ ფეხს, მას შემდეგ მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, მე უბრალო ნივთი ვარ ბატონის ხელში. კაპიტალის ბრძანებით ვმუშაობ მე ბავშვობიდან საფლავის კარამდე, ვმუშაობ მზის ქვეშ და გაზით განათებულ სარდაფებში, ვმუშაობ დღე და ღამე, ვმუშაობ მიწაზე და მის ჯურღმულებში, ვმუშაობ ხღვაზე, ვმუშაობ ყველგან და ყოველთვის.

კითხვა. კიდევ რას გაკისრებს შენ კაპიტალი?

პასუხი. იგი მოვალედ მხდის მთელი წლის განმავლობაში ყოველი მარხვა შევინახო, გაჭირვებაში ვიცხოვრო, ნახევრად მშიერი ვიყო, ჩემი სხეულის ყველა მოთხოვნილებანი შევზღუდო, ჩემი სულის აღმაფრენას ფრთები შევაკვეცო.

კითხვა. ზოგიერთ საჭმლის ხელის ხლებას ხომ არ გიშლის იგი?

პასუხი. როგორ არა! იგი მიკრძალავს მივეკარო ნანადირევს, ფრინველებს, პირველ, მეორე და მესამე ხარისხის ხორცს: მიკრძალავს დოშის, ორაგულის და სხვა ძვირფას თევზეულის ჭამას. მისგან

მე აკრძალული მაქვს სმა ნამდვილი ღვინისა, დაწმენდილი არაყის და ახლად მოწველილი, შეურეველი რძისა.

კითხვა. რანაირ საზრდოს ჭამის უფლებას გაძლევს იგი?

პასუხი. პური, კარტოფილი, ლობიო, სელიოდკა, ხორცის ნარჩენი, ძროხის კუნთები, ღორის და ცხენის ხორცი სჭამეო—მეუბნება. რათა სწრაფად და ნაჩქარევად აღვადგინო ჩემი დაუძლურებული სხეული—კაპიტალი ნებას მაძლევს ესვა წყალ-ნარევი ღვინო და არაყი.

კითხვა. რანაირია შენი მოვალეობანი საკუთარ თავისადმი?

პასუხი. მე მოვალე ვარ ჩემი ხარჯები შევამცირო, სიბინძურესა და სიმყრალეში ვიცხოვრო, დაკონკილი, გაცვეთილი და საკერებელით აჭრელებული ტანისამოსი ვატარო იქამდე, ვიდრე ტანზე მთლად არ შემომაცვდება. მოვალე ვარ აგრეთვე უწინდებოდ ვიარო. ფეხსაცმელებიდან თითები მიჩანდეს და ტალახსა და სიცივეში ვსველდებოდე.

კითხვა. რას გავალებს კაპიტალი შენი ოჯახობის ზიმართ?

პასუხი. იგი მიკრძალავს ჩემს ცოლშვილს კოხტადა, მოხდენილად ჩავაცვა. მათ არ უნდა ჰქონდეთ თავმომწონეობა და სილამაზე. ხოლო ტანისამოსი უნდა ეცვათ სულ უბრალო მატერიისა, რათა დაიფარონ სხეული მხოლოდ იმდენად, რომ პოლიციელის მორცხვობა არ შეილახონ თავისი ნახევრად სიშიშვლით. მე ჩემ ცოლ-შვილს უნდა ვასწავლო, რომ ზამთრის სიცივეები აიტანონ თავის ჩითის ტანისამოსში, არ ჰკანკალებდნენ ყინვაში და სული არ უგუბდებოდეთ ზაფხულის სიცხის დროს მზის სიმცხუნვარისგან გავარვარებულ სახურავ ქვეშ. კაპიტალი მიბრძანებს ჩემს შვილებს ადრიდანვე შევასწავლო შრომის წმიდა პრინციპები, რათა ბავშვობიდანვე შესძლონ ლუკმაპურის შოვნა, რათა მათი რჩენა საზოგადოებას არ დააწვეს კისრად. მე მოვალე ვარ შევაჩვიო ცოლ-შვილი უვახშმოდ, ბნელაში დაძინებას და საერთოდ შევაჩვიო იმ სიღატაკეს, მათთვის ბედს რომ ურგუნებია.

კითხვა. რა მოვალეობას გაკისრებს კაპიტალი საზოგადოების მიმართ?

პასუხი. იგი მაკისრებს გავზარდო საზოგადოებრივი სიმდიდრე ჯერ ჩემის შრომით, შემდეგ კი ჩემი ნაწვავ-ნადაგ და შავი დღისთვის შემონახული გროშებით.

კითხვა. რას გეუბნება კაპიტალი შენს შემონახულ გროშებზე.

პასუხი. ეგ გროშები შეიტანე სახელმწიფო შემნახველ კასაში, რათა მათი საშუალებით ბიუჯეტის დეფიციტი [1]) დავფაროთო. ან გვაიძულებენ ეს გროშები გადავსცეთ საფინანსო ფილანტროპიის საზოგადოებებს, რომელნიც შემდეგ ჩვენს ბატონებსვე მისცემენ სესხად. შავი დღისთვის გადადებული გროშები ჩვენ ყოველთვის ბატონებისავე ხელში უნდა ჩავაგდოთ.

კითხვა. გაძლევს თუ არა ნებას კაპიტალი შენი გროშები კვლავ უკან დაიბრუნო?

პასუხი. ძალიან იშვიათად, როდესაც ფილანტროპები, ჩვენი მოთხოვნილების თავიდან ასაცილებლად, გვიცხადებენ — თქვენი გროშები კვალ-წმინდად გაჰქრა, ვითარცა კვამლიო, [2]) კაპიტალი გვეუბნება: ნუ ჯიუტობთ, ბედისწერას რას უზამთო.

კითხვა. გაქვს თუ არა პოლიტიკური უფლებანი?

პასუხი. კაპიტალი მაძლევს ნებას ერთ-ერთ მისთვის უვნებელ სათამაშოთი გავერთო: აირჩიე კანონმდებლებიო. ეს კანონმდებლები კი ჩვენს დასამონებელ კანონებს გამოსცემენ ხოლმე. ისე კი კაპიტალი მიკრძალავს პოლიტიკაში ჩარევას და სოციალისტების ყურის გდებას.

კითხვა. რატომ?

პასუხი. იმიტომ, რომ პოლიტიკა ჩვენი ბატონების პრივილეგიაა. იმიტომ, რომ სოციალისტები არამზადები არიან, გვატყუებენ ჩვენ, გვცარცავენ. ისინი ამბობენ: ის, ვინც არ მუშაობს, არც უნდა სჭამდესო, ყველაფერი დაქირავებულ მუშებს ეკუთვნითო, ყველაფერი

---

[1]) კატეხიზმო აქ გადაკვრით ლაპარაკობს იმ ფაქტებზე, რომელიც საფრანგეთში მოხდა. ავტორებს, ეტყობა, ჰსურთ ხსენებული ფაქტები სხვა ქვეყნებშიაც გამრავლდეს. ეს ფაქტები სახელდობრ ასეთია: შემნახველ კასებში შეტანილი თანხა ხმარდებოდა ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ ბიუჯეტის მიერ გათვალისწინებულ ზარალის დაფარვას. ეს ზარალი კი ათას ოთას მილიონ ფრანკამდე აღწევდა. როგორც კატეხიზმო ამბობს, შემნახველ კასებში წლიურად ფული უფრო მეტი შედის, ვიდრე გაიცემის. ეს ზედმეტი ფული, ეტყობა, ხმარდება საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას. ბ-ნი ლერუა-ბოლიე ამბობს, ეს ფრიად საშიშია სახელმწიფოსათვისაო: ერთ მშვენიერ დღეს კასაში ფულის შემნახველებმა თავისი თანხები რომ უკანვე მოითხოვონ,—სახელმწიფო გაკოტრებული დარჩებაო.

[2]) ამისთანა ფაქტი მოხდა 1848 და 1871 წლებში. ავტორებმა იციან, რომ მსგავსი რამ კიდევ მრავლად მოხდება და ამიტომ ჰსურთ მუშები მოამზადონ მომავლისათვის.

პ. ლაფარგის შენიშვნა.

ხომ მათი მარჯვენით არის გაკეთებული, ბატონი კი მუქთახორაა, ამიტომ უნდა მოვსპოთ იგი. კაპიტალი კი, პირიქით, გვეუბნევა: მდიდრების მფლანგველობა ჰქმნის სამუშაოს, რომელიც საშუალებას გვაძლევს შიმშილით არ დავიხოცოთ. მდიდრები ინახავენ ღარიბებს, მდიდრები რომ არ იყონ, ღარიბები დიდი ხანია დაიღუპებოდნენო. გარდა ამისა, კაპიტალი გვასწავლის: ნუ ხართ იმდენად სულელები, ნუ დაიჯერებთ, თითქოს თქვენს ცოლ-შვილს, — რომელთაც სხვა სამოსი არა უნდათ რა, გარდა ორშაურიან ჩითისა — შეეძლოთ ფარჩა-აბრაშუმეულის ხმარება, იმ აბრეშუმეულის, რომელსაც თვითონ ისინი ჰკერავენო. თქვენ აბა, როგორ შესძლებთ ნამდვილ ღვინის სმასა და ძვირფას საჭმელების ჭამას, როცა ხმელა პურსა და წყალ-წყალა ღვინოს ჩვეულხართო.

კითხვა. ვინაა შენი ღმერთი?

პასუხი. კაპიტალი.

კითხვა. მარადიულია თუ არა კაპიტალი?

პასუხი. ჩვენი მეცნიერი ქურუმები, ოფიციალური ეკონომისტები ამბობენ: კაპიტალი ქვეყნის გაჩენიდანვე არსებობდა, მაგრამ რაკი მცირეწლოვანი იყო, პირველ ხანებში მის მაგივრად და მისი სახელით იუპიტერი, ბელოვა, ქრისტე და სხვა ცრუ-ღმერთები მეფობდნენო. მხოლოდ დაახლოვებით 1500 წლიდან იწყებს იგი ზრდას და მას შემდეგ მისი ძლიერების ზრდა არ შეჩერებულა. ეხლა იგი მთელი მსოფლიოს უფალია.

კითხვა. ყოვლად შემძლებელია თუ არა კაპიტალი?

პასუხი. დიაღ. ვისაც კაპიტალი აქვს, მას ეკუთვნის ყოველივე სიკეთე ამა სოფლისა. თუ კი რომელსამე ოჯახს ან ერს მან ზურგი შეაქცია — მყისვე ეს ოჯახი და ერი საცოდავ და საშინელ სიღარიბეში ვარდება. კაპიტალის ძლიერება იზრდება მის გადიდებასთან ერთად. დღითი-დღე იგი ახალ-ახალ ქვეყნებს იპყრობს. დღითი-დღე იგი ამრავლებს დაქირავებულთა არმიას, რომელიც იძულებულია მთელ თავის სიცოცხლის განმავლობაში კაპიტალის ზრდას ხელი შეუწყოს.

კითხვა. ვინ არიან რჩეულნი კაპიტალისა?

პასუხი. სიმდიდრის პატრონები — კაპიტალისტები და რანტიები.

კითხვა. რა მადლს გიშვრება, უფალ შენი — კაპიტალი?

პასუხი. იგი მუდამ გვაძლევს სამუშაოს მე, ჩემს ცოლს და ჩემს პატარა შვილებს.

კითხვა. მარტო ეგ არის თქვენი ჯილდო?

პასუხი. არა. კაპიტალი, უფალი ჩვენი, ნებას გვაძლევს შიმშილი დავიკმაყოფილოთ საჯაროდ გამოფენილ გემრიელ საჭმელების ცქერით.

საჭმელებისა, რომელსაც ჩვენ არასოდეს მივკარებივართ, რომელიც არასოდეს გვიგემნია და რომელსაც მხოლოდ უფლის რჩეულნი და წმიდა ქურუმნი მიირთმევენ. კეთილია უფალი ჩვენი და იგი ნებას გვაძლევს ჩვენი გაყინული ძვლები გავითბოთ იმ თბილ ბეწვეულისა და სქელ მაუდთა ცქერით, რომლითაც შემოსილან რჩეულნი უფლისა და წმიდა ქურუმნი. იმავე სიკეთით აიხსნება ის, რომ ჩვენ ნება გვაქვს ფრიად ნაზი სიამოვნებისა. ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენი თვალები ვასიამოვნოთ და აღტაცებულნი ვიყოთ იმის ცქერით თუ როგორ დაჰქროლავენ ჩვენს წინაშე ეტლებით, ბულვარსა და მოედნებზე მთელი ეს მოდგმა ჩასუქებულ, ღიპიან, სურავანდიან რანტიებისა და კაპიტალისტებისა, რომელთაც თან ახლავთ მთელი ამალა ლივრეიან ლაქიებისა და შეპუდრულ-შეგლესილ კურტიზანკებისა. სიამაყით და სიამოვნებით გვევსება ხოლმე გული ამის შემყურეებს და ვამბობთ: ეს რჩეულნი სიმდიდრესა და ფუფუნებაში არიან, იმ ფუფუნებაში, რაიც ჩვენ არც კი გვესიზმრება; მაგრამ ისიც ხომ ნუგეშია, — რომ ყველაფერი ეს ჩვენი ტვინისა და ჩვენი მარჯვენის გაკეთებულია.

კითხვა. კაპიტალის რჩეულნი სხვა მოდგმას ხომ არ ეკუთვნიან.

პასუხი. კაპიტალისტები იმავე თიხისგან არიან შექმნილნი, რისგანაც დაქირავებული ადამიანები. მაგრამ ისინი ამორჩეულ იქნენ ათასებსა და მილიონთა შორის.

კითხვა. რა გაუკეთებიათ მათ ისეთი, რომ ასეთი ბედნიერება ეწიათ?

პასუხი. არაფერი. კაპიტალი თავის ყოვლად შემძლებლობას სწორედ იმითი იჩენს, რომ ყოველივე სიკეთით აღავსებს ადამიანებს, რომელთაც ეს არაფრით დაუმსახურებიათ.

კითხვა. მაშასადამე, კაპიტალი უსამართლო ყოფილა?

პასუხი. კაპიტალი — ეს არის თვით-სამართლიანობა და ჭეშმარიტება, მაგრამ ამ სამართლიანობის შეცნობა ჩვენს მოკლე ჭკუას არ შეუძლიან. კაპიტალი რომ იძულებული იყოს თავის სიკეთეთა კალთა მხოლოდ ღირსეულთ დააბღერტოს, მაშინ იგი თავისუფალი აღარ იქნებოდა, მისი ძლიერება და ყოვლად შემძლებლობა განსაზღვრული იქნებოდა. კაპიტალს შეუძლიან თავის ძლიერების განმტკიცება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი თავის რჩეულთ არაფრის მაქნის მუქთა-ხორათა და უსაქმურთა შორის ირჩევს.

კითხვა. რანაირი სასჯელი აქვს შენთვის, უფალსა შენსა — კაპიტალს.

პასუხი. უმუშევრად დატოვება. მაშინ მე განდევნილი ვარ საზოგადოებიდან, მოკლებული ვარ პურს, ღვინოსა და სითბოს, სიმშილით ვიხოცებით მაშინ მე და ჩემი ცოლ-შვილი.

კითხვა. რა დანაშაულს ჩაიდენ ხოლმე ისეთს, რომ სამუშაოს გისპობენ?

პასუხი. არავითარს. კაპიტალს თავის ნებით შეუძლიან სამუშაოდან დამითხოვოს. იგი არა ზრუნავს იმისთვის, რომ ჩვენი მოკლე ჭკუით მივხვდეთ, რა არის ხოლმე ამის მიზეზი.

კითხვა. რა ლოცვები იცი?

პასუხი. მე ვლოცულობ, მაგრამ არა სიტყვებით. შრომაა ჩემი ლოცვა, ვინაიდან მხოლოდ ისაა სასარგებლო, მხოლოდ ის არის მოგების წყარო. მხოლოდ შრომა ჰქმნის კაპიტალისთვის ზედმეტ ღირებულებას.

კითხვა. სად ლოცულობ შენ?

პასუხი. ყველგან— ზღვასა და ხმელეთზე, მიწის ქვეშ. ყანებში. მაღაროებში, სახელოსნოებსა და მაღაზიებში. რათა ჩვენი ლოცვა მიიღოს და შეიწყნაროს უფალმა ჩვენმა ჩვენ კაპიტალის ფერხთა წინაშე უნდა მივიტანოთ ჩვენი ნებისყოფა, თავისუფლება და კაცური კაცობა. ჩვენ ზარის ხმაზე უნდა შევიკრიბოთ, მანქანის ხმაური გვიწვევენ, რათა როგორც ავტომატებმა დავიწყოთ ხელებითა და ფეხებით მუშაობა, ოფლში ვიწურებოდეთ და ვხვნეშოდეთ, დავჭიმოთ ჩვენი კუნთები და უკანასკნელი ღდინი გავაცალოთ ჩვენს ძარღვებს. ჩვენ სულით მორჩილნი უნდა ვიყოთ, მოთმინებით უნდა ავიტანოთ ბრაზმორეული გინება ჩვენის ბატონებისა, ვინაიდან ისინი მუდამ მართალნი არიან— მაშინაც კი, როდესაც ჩვენ გვეჩვენება, თითქოს ისინი მტყუანნი იყონ. ჩვენ მადლობა უნდა უთხრათ ბატონს, როდესაც ნამუშევარს ფულს გვიკლებს, სამუშაო დღეს ადიდებს ვინაიდან ყველაფერი, რასაც ის აკეთებს — სამართლიანია და ჩვენივე სიკეთე აქვს მიზნად. ჩვენ სიამაყით უნდა ვივსებოდეთ და გვიხაროდეს, როცა ბატონი და მისი მსახურნი ეარშიყებიან ჩვენს ცოლებსა და ქალიშვილებს, ვინაიდან კაპიტალისგან მათ მიცემული აქვთ უფლება როგორც დაქირავებულთა სიკვდილ-სიცოცხლეზე, ისე მათ ქალების დაპატრონებაზე. ჩვენ გვირჩევნია ყოველგვარი ტანჯვა-წვალება ავიტანოთ, აშმორებული პური ვსჭამოთ და წყლის გუბე ვსვათ, ვიდრე თუნდ ერთი სასაყვედურო სიტყვა ვსთქვათ, ნება მივსცეთ ჩვენს გულფიცხობას, გავმართოთ ოდესმე გაფიცვა, მოვაწყოთ აჯანყება, ვინაიდან ჩვენი თავხედობის ასალაგმავად კაპიტალმა ჩვენი ბა-

2087

ტონი შეაიარაღა ზარბაზნებითა და ხიშტებით, საპყრობილეებითა და კატორღით, გილიოტინითა და მრავალ სხვა საშინელებით.

კითხვა. ეღირსები თუ არა სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებას?

პასუხი. კი, უეჭველად, ვეღირსები და დიდ ჯილდოსაც მივიღებ. კაპიტალი მომცემს მე საშუალებას დავმშვიდდე და დავისვენო. მე აღარ შევსწუხდები ლუკა-პურისთვის—არც დღეისთვის, არც სახვილიოდ. მე საუკუნო განსვენებას ვპოვებ საფლავში.

III. დარიგება კურტიზანკასი [1])

ჩემდამი გადმოცემული მანუსკრიპტი მთელი როდი იყო: მას პირველი სამი ფურცელი აკლდა. ეტყობა იმ ფურცლებში იქნებოდა მიმართვა უფლის—კაპიტალისადმი, რომელიც მოსარჩლეა ყველა იმისი, ვისაც ზიზღით უყურებენ. მე თავიდანვე წესად დავიდე: ყოველი დოკუმენტი სრულიად უცვლელად დამებეჭდა და ამიტომ არავითარი შესწორება ან დამატება არ შემიტანია ამ დოკუმენტში.

დოკუმენტის არეებზე მინაწერი შენიშვნები ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პაპის ლეგატს ფანამშრომლად მიუწვევია „ულსის პრინცი, ორი მდიდარი მრეწველი—ბ-ნი ბონნე და პუე—აერტიე და აგრეთვე მთელს ქვეყნიერებაზე თავის ფარჩა აბრეშუმეულობით განთქმული, ცნობილი კორა პეარლი, რომელიც თავის სარეცელს უზიარებდა მსოფლიოს უმაღლეს წრეებს.

პ. ლაფარგი.

* * *

ადამიანები, რომელნიც მთელს თავის სიცოცხლის განმავლობაში ბნელში დაეხეტებიან და თავის მოკლე ჭკუით მოციმციმე სინათლით ხელმძღვანელობენ—კურტიზანკას დაცინვითა და ზიზღით უცქერიან. ისინი ყოვლად უნამუსოდ და ურცხვად—კურტიზანკას თავის ზნეობის სამარცხვინო ბოძზე აკრავენ, თავის ცრუ სათნოებათა ხახელით ჰგმობენ მას, სიძულვილსა და აღშფოთებას იწვევენ მისდამი. მათთვის კურტიზანკა ბოროტების მონაა, ამა ქვეყნის ცოდვათა დედოფალია. იგია ის წისქვილის ქვა, რომლის სიმძიმე ადამიანს გამოადენს ყოველგვარს სისაძაგლეს. იგი აჭკნობს ახალგაზდობას, ჰბილწავს მოხუცებულთა ჭალარას. კურტიზანკა აშორებს ქმრებს ცოლებს,

[1]) კურტიზანკა—უმაღლესი წრის მეძავ ქალს ჰქვიან.

იგი თავისი მსუნაგი, გაუმაძღარი ტუჩებით შეუბრალებლად სწუწნის მრავალ ოჯახს პატიოსნებასა და შეძლებას. ოჰ, დანო ჩემნო! ცხოველური გააფთრება და მდაბალი შურიანობა თავს ლაფს ასხამს და შხამს ანთხევს კურტიზანკის კეთილშობილ სახეს. ნამდვილად კი, ამ ცხრამეტი საუკუნის წინად იესო ნაზარეველმა, უკანასკნელმა ცრუ-ღმერთმა, ფეხზე წამოაყენა ზნეობით დაცემული მარიამ მაგდალინელი და სხვა წმიდანთა და ნეტართა შორის მოათავსა წიაღსა შინა სამოთხისა მშვენიერებათა.

ჭეშმარიტ ღმერთის, კაპიტალის მოვლინებამდე, ყველა სარწმუნოება, ერთმანეთს რომ ედავებობნენ ცას ქვეშეთის ბატონობისთვის, აგრეთვე სხვა და სხვა ღმერთები, რომელნიც რიგ-რიგობით ბატონობდნენ ადამიანთა გონებაზე, მოითხოვდნენ, რომ მეუღლე გინეკეიში (სახლის საქალებო ნაწილი) ყოფილიყო დამწყვდეული. და მხოლოდ ჰეტერას, კურტიზანკას ჰქონდა ნება ეგემნა ნაყოფი ცნობადისა და თავისუფლების ხისა. ბაბილონის დიდებული ქალ-ღმერთი მილიტა—ანაიტა „დახელოვნებული მხიბლავი და შემაცდენელი მეძავი“.—თავის მორწმუნე ერს მოსთხოვდა პროსტიტუციით ედიდებინათ იგი. როდესაც ბუდდა, ღმერთ-კაცი, ჩავიდოდა ხოლმე ვეზალში, იგი სცხოვრებდა წმიდა მეძავთა უფროს-ქალის სახლში, იმ მეძავთა, რომელთა წინაშე მოწიწებით ჩამწკრივდებოდენ ხოლმე ქურუმები და ქალაქის ხელისუფალნი, საზეიმო ტანისამოსში გამოწყობილნი. იელოვამ, პირქუშმა ღმერთმა, კურტიზანკები თავის ტაძარში მოათავსა. [2])

სარწმუნოებით გონება განათლებული ადამიანები—პირველყოფილ საზოგადოებაში კურტიზანკას აღმერთებდნენ: იგი იყო სიმბოლო ბუნების მრადიულ ძალისა, რომელიც შემოქმედიცაა და დამანგრეველიცა.

კათოლიკურ ეკლესიის მამანი, იმ ეკლესიისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ართობდა ყრმობაში მყოფს კაცობრიობას თავის ლეგენდებით—თავის ღვთაებრივ აღტყინებას კურტიზანკათა წრეში ყოფნაში ჰპოებდნენ. როდესაც პაპები თავის ყრილობებზე იწვევდნენ მღვდლებსა და ეპისკოპოსებს, რათა იქ განეხილათ სარწმუნოე-

---

[2]) პაპის ლეგატი აქ გადაკვრით უთითებს ძველი აღთქმის შემდეგს ადგილს: „მან, (იოსიამ) დაანგრია სახლები სოდომიტელთა, რომლებიც იყვნენ ტაძარსა შინა უფლისასა და რომელშიაც მეძავნი (დედანი) რთავდნენ სამოსელსა კერპისასა“. (წ. შეფეთა, თ. XXIII, 7) მილიტას ტაძარში ბიბილონის კურტიზანკებს თავის სამლოცველოები ჰქონდათ და იქ ასრულებდნენ ისინი თავის წმიდა მოვალეობას.

პ. ლაფარგის შენიშვნა.

ბის რომელიმე დოგმატი—მთელ საქრისტიანო მსოფლიოს ყოველ კუთხიდან დაიძროდნენ ხოლმე და ყრილობისაკენ მიიმართებოდნენ კურტიზანკები, რომელთაც გზას უჩვენებდა განგება ღვთისა. კურტიზანკები თავის სამოსელში სულიწმიდას ატარებდნენ, ისინი ნათელს ჰმატებდნენ ეკლესიის მოძღვართა გონებას. უფალმა მიანიჭა დედოფლის ტოლ თეოდორას უფლება სურვილისამებრ უცოდველ პაპთა ტახტზე განმტკიცების ან ჩამოგდებისა.

კაპიტალი, უფალი ჩვენი, კურტიზანკას უფრო მაღალ ადგილს უთმობს. დღეს კურტიზანკის ხელშია არა მარტო მერყევი ტახტი პაპებისა, არამედ მის განკარგულებაშია ათასობით ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე მუშები, ხელოსნები და ოსტატები სხვა და სხვა დარგისა და ხელოვნებისა. ისინი ჰქსოვენ, ჰქარგავენ, ჰკერავენ, ამუშავებენ და ალამაზებენ ხეს, რკინას, ძვირფას თვლებს, ზღვის ფსკერიდან ამოაქვთ თვალ-მარგალიტი, აშენებენ სასახლეებს, ალამაზებენ კედლებს, ნაირ-ნაირათ სურათებს ჰხატავენ ტილოებზე, ქანდაკებას აკეთებენ, სწერენ დრამებსა და რომანებს, სწერენ ოპერებს, მღერიან, თამაშობენ, ცეკვავენ—და ყველაფერს ამას ისინი სჩადიან კურტიზანკის ჟინიან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მის გასართობად.

სემარამიდასა და კლეოპატრასაც კი, ამ ძლევამოსილ დედოფლებს—არასოდეს არა ჰყოლიათ ამისთანა და ამდენი ყოველნაირად დახელოვნებულ მსახურთა არმია, როგორც კურტიზანკებს.

კურტიზანკა—კაპიტალისტურ ცივილიზაციის მშვენებაა. აბა, ერთი თავი ანებოს მან თანამედროვე საზოგადოების დამშვენებას—და ხელად გაქრება ის მცირეოდენი სიხარული, რომელიც ამ ღარიბ და მწუხარე სოფელში კიდევ დარჩენილა. ძვირფას თვლებსა და ოქროთი მოქარგულ ფარჩეულობას ფასი დაეკარგება, უბრალო სათამაშოებათ გადაიქცევა. ფუფუნებასა და ყოველგვარ ხელოვნებას—სიყვარულისა და და მშვენიერების ამ პირმშო შვილთ—თავისი მიმზიდველობა დაეკარგება. ადამიანთა შრომის ნახევარი ამაო გახდება. მაგრამ ვიდრე ქვეყნად ყიდვა-გაყიდვა არსებობს, ვიდრე კაპიტალი დაჰპატრონებია ადამიანთა შეგნებას—იქამდე ის საქონელი, რომელსაც სიყვარული ჰქვიან—ყველაზე ძვირფასი იქნება და რჩეულნი კაპიტალისა ყოველთვის დაიკმაყოფილებენ თავის სურვილს კურტიზანკის შელებილ ტუჩთა ცივი კოცნით. ადამიანს გონება რომ არ ასულელებდეს, სარწმუნოებამ რომ მას კარი გაუღოს, იგი მიხვდებოდა, რომ კურტიზანკა, რომელიც ხალისით ეგებება მდიდართა და ძლიერთა ამა

ქვეყნისათა ავხორცობას — არის ერთი მამოძრავებელი ძალთაგანი კაპიტალისა, რომელიც თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნას ესწრაფის. შუა საუკუნეების შავბნელ ხანაში, იმ დროს, როდესაც კაპიტალი, უფალი ჩვენი, ვითარცა ნაყოფი დედის მუცელში, შეუმჩნევლად იზრდება საეკონომიო მოვლენათა შუაგულში, მაშინ, როდესაც არც ერთს წინასწარმეტყველს არა ეთქვა რა, ჯერ მის მოსალოდნელ დაბადების შესახებ; როდესაც სული ადამიანისა ჯერ კიდევ არ ათრთოლებულიყო სიხარულით ახალ ღმერთის მოლოდინისა — აი, მაშინაც კი კაპიტალს უკვე დაეწყო ადამიანთა ურთიერთობაზე ბატონობა. ველურის აღტყინებით აღანთო გული ევროპიელთა, რომელნიც მოედვნენ აზიას და მისკენ მიმავალი გზები აღავსეს ჭიანჭველისამებრ მრავალ ბრბოებით.

იმ ხანებში ადამიანებზე — უხეში ფეოდალ-სენიორები ბატონობდნენ. ისინი მთელს თავის სიცოცხლეს ჯავშან-მუზარადში ატარებდნენ მსგავსად კუსა, რომელიც თავის ჯავშანში იმალავს თავს. ფეოდალები მძიმე საჭმელებს ხმარობდნენ, მაგარ ღვინოს სვამდნენ და სხვა არა ახალისებდათ რა, თუ არა კენწლაობა; უდიდეს ფუფუნებათა და სიმდიდრედ ისინი კარგათ ალესილ ხმალსა სთვლიდნენ. რათა აეფორიაქებინა ეს ნადირები, უფალი ჩვენი იძულებული იყო მათ შეგნებამდე დადაბლებულიყო; მათი შეგნება კი ტყვიაზე უფრო მძიმე იყო. კაპიტალმა შთაუნერგა მათ ჯვაროსნულ ომთა იდეა და გარეკა ისინი პალესტინაში მაცხოვრის არ არსებულ კუბოს დასახსნელად.

კაპიტალმა მოინდომა განერთხო ისინი აღმოსავლეთის კურტიზანკათა ფერხთა ქვეშე, დაეთრო ფუფუნებისა და სიამოვნებათა განცდით, აღენთო მათი გული ოქროსადმი ჩაუქრობელ და დაუმორჩილებელ სიყვირულით. ოქროს ძალოვანობით და გაუგონარ სანახაობათაგან შეშფოთებულნი, არაბეთის სურნელებათა და კურტინზაკათა ცეცხლოვან ალერსით დამთვრალნი — ფეოდალები დაბრუნდნენ უკან. თავის ულიმ-ღამო კოშკებში, სადაც მხოლოდ ჭოტის ხმა გაისმოდა. მათ შეიზიზღეს ხლაზვნია და უშნო თავისი დედლები, რომელთაც მხოლოდ მატყლის ჩეჩა და ბავშვების შობა იცოდნენ და სხვა არაფერი. ფეოდალები სირცხვილით იწვოდნენ ამ ბარბაროსობის შემყურენი, და ვითაარცა ახალგაზრდა დედა, შვილს რომ მოელის, წინდაწინვე უმზადებს აკვანს — ისე ევროპიელებმა აღაშენეს ქალაქები ხმელთა შუა ხღვის ნაპირებზე და ააგეს ჰერცოგთა და სამეფო სასახლეები ევროპაში დასახვედრად უფლისა, დასახვედრად კაპიტალისა. ჭეშმარიტად, კვლავ გეტყვით თქვენ: კურტიზანკა ბევრად უფრო

ძვირფასია კაპიტალისთვის, ვიდრე ფინანსისტისთვის აქცონელის ფული. იგი მისი რჩეულია, ყველა ქალთაგან. იგი ყველაზე მეტად ემორჩილება მის ნებისყოფას. კურტიზანკა ისეთ საქონელსა ვაჭრობს, რომლის არც აწონა შეიძლება, არც გაზომვა, იგი ვაჭრობს არა რამე ნივთიერებას, რომელიც აღებ-მიცემის კანონებს ემორჩილება: იგი ჰყიდის სიყვარულს ვით მედუქნე საპონსა და სანთელს, ვითარცა პოეტი, თავის იდეალებს წვრილმანზე რომ აბურდავებს. ჰყიდის რა სიყვარულს, კურტიზანკა იმით თავის თავს ჰყიდის. იგი ამით ქალთა სქესს განსაკუთრებულ ძვირფასად ჰხდის. იგი თითქოს ჩვენი ღმერთის თვისებებს ეზიარება, მის ნაწილად ხდება — კაპიტალად იქცევა.

ჰოი, თქვენ, პოეტნო, დრამატურგნო, რომანისტებო! თქვენ გულუბრყვილონი ხართ, ვითარცა მინდვრად მაძოვარი ხბოები, როდესაც ლანძღვა-გინებით იკლებთ კურტიზანკას იმისთვის, რომ იგი თავის სხეულს ჰყიდის მხოლოდ ნაღდ ფულად, როდესაც სცდილობთ თავს ლაფი გადაასხათ მას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძლიერ ძვირად აფასებს თავის ალერსს.

თქვენ, მორალისტებო, ბოროტებისა და ცოდვათა გამამასუქებელო საღორეებო! თქვენ საყვედურს ეუბნებით კურტიზანკას იმიტომ, რომ მას ოქროს ბრწინვალება ურჩევნია სიყვარულის ალით დამწვარ გულს. თქვენ, ჭკუამოკლე ფილოსოფოსნო, მაშასადამე, კურტიზანკა სისხლის ძერა გგონიათ, რომელიც თურმე გაუმაძღრად სწუწნის სისხლს მის ხელში ჩავარდნილ მსხვერპლს; თქვენ, ჰეი, ყველა, სიძუნწით სული რომ ამოგდით, ნუ თუ თქვენ ჰფიქრობთ, რომ კურტიზანკას ფასი ეკარგება მხოლოდ იმიტომ, რომ მის სხეულს ყიდულობენ! პურს კი არა ყიდულობენ მოუძლურებულ სხეულის გასამაგრებლად, განა არ ყიდულობენ ღვინოს, ჩვენი გულის გამამხიარულებელს? განა არ შეიძლება ყიდვა დეპუტატის სინდისისა, კასსირის პატიოსნებისა, მღვდლის დაცვისა, ინჟინერის ცოდნისა?

უფალი, ღმერთი ჩვენი — კაპიტალი, სწყევლის მხოლოდ იმ გაყვნილ ქალებს, რომელნიც პირუტყვულ აღტყინებით რამდენსამე მანეთად ან რამდენსამე კაპეიკად ჰყიდიან თავის სხეულს მუშებსა და ჯარისკაცებზე. იგი საშინელ ტანჯვაში აგდებს ამ უხეშ არსებათ, რომელნიც ღარიბებს ეძლევიან; იგი შხამით სწამლავს ვენერის მსახურ ქალთა სხეულს; ისინი ღამურებივით მხოლოდ ღამით გამოდიან თავის საკბილოსათვის; კაპიტალი აგდებს მათ ოქროშების ხელში, რომელნიც მათ ტყავს აძრობენ და სცემენ. კაპიტალი აწესებს მათთვის პოლიციურ გაშინჯვას, ვითარცა ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ აყროლებულ ხორცისას.

მაგრამ კურტიზანკა, რომელსაც სწყალობს უფალი ჩვენი — კაპიტალი, ყურებში თითებს იცობს, როდესაც ესმის თქვენი ზნეობის შესახებ სასაცილო ლათაიები, ისევე ამაო ლათიები, ვითარცა ამაოა ყიყინი ბატისა, რომელსაც ფრთებს აძრობენ. კურტიზანკა თავის გულს უკეთებს ყინულის გარსს, რომელსაც ვერავითარი სიყვარულის ცეცხლი ვერ გაალხობს, ვინაიდან ვა, ათასჯერ ვა, მარგარიტა გოტიეს, რომელიც მორჩილდება კაცს და ფულს კი არ ართმევს. კაპიტალი ხურგს შეუბრუნებს იმისთანა კურტიზანკას, რომელიც შეიყვარებს ვისმე და სიამოვნებით ინაბება, რომლის გულიც თრთოლავს და გრძნობა მორევია: მისი სიყვარულის მუშტარი, რომელიც მისი გულის საყვარლის შემდეგ მოვა, გულგატეხილი და გაჯავრებული დარჩება, ვინაიდან მას დახვდება არა ახალთ-ახალი საქონელი, არამედ — მხოლოდ ძველი სიყვარულით გამთბარი და გამოფიტული სხეული.

კურტიზანკა გამალიზიანებელ მიუკარებლობის და გულგრილობის ჯავშანს იცვამს იმიტომ, რომ მისმა მყიდველებმა, ოდეს ისინი ბავარვარებული ტუჩებით ეხებიან მის ფაიფურის სხეულს, რომლისთვისაც ვნება უცხო რამ არის — არ დაუკარგონ მას სიახლე და ახალგაზოდობა. თავის სისხლის დულილში უნდა ჰპოვონ მყიდველებმა სიყვარულით დათრობა და არა კურტიზანკის ხვევნა ალერსის ალში; ვინაიდან იმ დროს, როდესაც მყიდველი ნაყიდ სხეულს კოცნითა სცვეთავს კურტიზანკის გონება თავისუფლად უნდა ოცნებობდეს იმ ფულზე, რომელიც მას მყიდველისაგან ერგება. კურტიზანკა თავს ბოუს ახვევს მათ, ვინც მას ყიდულობს, იგი აიძულებს მათ ოქროს ფასად იყიდონ სიყვარულის ის სიამოვნება, რომელიც მათ თან მიაქვთ. და იმიტომ, რომ იმ ჟამად, როდესაც კურტიზანკა სიყვარულს ყიდის, მისგან გასასყიდი საქონელი არ არსებობს — კაპიტალი, უფალი ჩვენი, რომლისათვისაც ქურდობა და ფალსიფიკაცია უპირველესი საღვთისმეტყველო სათნოებაა — აკურთხებს კურტიზანკას.

მოისმინეთ ქალებო! მე თქვენ აგიხსენით და გიჩვენეთ საიდუმლო კურტიზანკის მარმარილოსებურ უგრძნობელობისა, იმ კურტიზანკის, რომელიც რჩეულთა მთელ კლასს თავის სხეულის მეჯლისზე იწვევს და ეუბნება: „ინებეთ, სჭამეთ და სვით, ესე არს ხორცი ჩემი და ესე არს სისხლი ჩემი“

* * *

უმაღლესი წრეები ერთგულს მეუღლესა და კარგ დიასახლისს სიტყვით ხოტბას ასხმენ, მაგრამ ნამდვილად ყოველთვის სცდილობენ მისგან თავის დაძვრენას და მოლოდინით გულგადალეულებს აც-

დევინებენ სარეცელთან. ასეთი ქალი აშორებს კაცს თავის ახლობლებს, ბადებს მასში ანტისაზოგადოებრივ გრძნობას იჭვიანობისას, სისხლს უწამლავს შხამით. ცოლი ქმარს მაგრად მიაკრავს ხოლმე თავის ბინას, ამწყვდევს საოჯახო ეგოიზმის ოთხკედელ შუა. კურტიზანკა, პირიქით, ანთავისუფლებს კაცს ოჯახისა და დამღუპველ გრძნობათაგან.

ფული ადამიანთა შორის მანძილს ადიდებს. კურტიზანკა ადამიანებს აახლოებს, აერთებს. მის სარეცელთან გროვდებიან ადამიანები, რომელთაც სულ სხვადასხვა ინტერესები აქვთ. აქ მათ აკავშირებს იდუმალი, გაურკვეველი, მაგრამ ამასთანავე ღრმა და გარდუვალი გარემოება: ისინი სჭამენ და სვამენ ერთსა და იმავე ნეტარების წყაროდან.

სიყვარული ველური და ცხოველური გრძნობაა, რომელიც გონებას აბნელებს, კაცს თავგანწირვისაკენ და საკუთარ ინტერესების დავიწყებისაკენ ეწევა. კურტიზანკა მის მაგივრად ამზადებს მსუბუქ სასიყვარულო სასმელს, რომელიც სელტერის წყალივით ქაფდება, მაგრამ არ ათრობს.

კურტიზანკა კაპიტალის ნამდვილი დოვლათია, იგი მის რჩეულთ უღვიძებს ინიციატივას ფუფუნებისა და ავხორცობის ნაირ-ნაირ ფორმათა გამოსაგონებლად. იგი ამ რჩეულთათვის ნუგეშინის მცემელია მათს ცოლთა წინააღმდეგ, რომელთაგან თავი აქვთ მობეზრებული. ვითარცა შემოდგომის გულის გამწვლილებელ ღვიმისაგან. ხოლო ოდეს მათ სიბერე ეწვევა, სახეს უჭკნობს და წელში მოჰხრის; ოდეს მათი სხეული დუნდება და თვალებში ციცხლი ჰქრება, სუნთქვა ძველებურ სინაზეს ჰკარგავს და ქალებში მხოლოდ-ღა ზიზღს იწვევენ, კურტიზანკა ხურგიდან ხსნის მათ წელთა დაზიდულობას: მის ცივ სხეულზე, რომელიც ხელს არავის ჰკრავს, ისინი ჰპოებენ დროებითს სიამოვნებას, რომელსაც ისინი თავის ოქროებით ყიდულობენ

მაჭარზე უფრო აქაფებული და დაუდგრომელი კურტიზანკა გასაოცარ სისწრაფით ატრიალებს აუარებელ სიმდიდრეს: იგი გაგიჟებულ ბუქნაში აბამს მრავალ მილიონთა შემლებას, ისეთებისაც კი, რომელნიც ადვილად არაფერს აჭყვეტიან. მაღაროები და ქარხნები, ბანკები და სახელმწიფო რენტა, ვენახები და სახნავი მიწები ყველაფერი ეს ვარდება კურტიზანკის დაუდევარ ხელში, დნება, ჰქრება მის თითებს შუა და მიდის ვაჭრობისა და მრეწველობის ათასგვარ არხებში. ქვეწარმავალნი არ გროვდებიან მძოვრთან ისე მრავლად, რამდენიც მის გარშემო მსახური, ვაჭარი და მევახშე გროვდება. მათ

ჯიბეები მზადა აქვთ, რათა ბლომად ჩაუცვივდეთ ის ოქროები, რომელსაც კურტიზანკა სეტყვასავით ისვრის, ოდეს თავის უხვ კალთას იბღერტავს. თვით ნიმუში თავზე ხელაღებულ ადამიანისა — კურტიზანკა ანიავებს თავის საყვარელთა ქონებას, რათა გაამდიდროს მსახურნი და სხვადასხვა ხელოსნები, რომელნიც თავის მხრით მასა ფცქვნიან.

არტისტები და მრეწველები ვერასოდეს ვერ გასცილდებოდნენ საშუალო ნიჭიერებას, კურტიზანკა რომ არ აიძულებდეს მათ გონებას ძალა დაატანონ და სიამოვნების დარგში ახალი რამ აღმოაჩინონ, ან ჯერ კიდევ გაუგონარ-უნახავი სათამაშოები გამოიგონონ. ვინაიდან, კურტიზანკა, იწვის რა იდეალის ძიების წყურვილით, თავის სასურველ საგანს ხელში იგდებს მხოლოდ იმიტომ, რომ მყისვე მისდამი ზიზღი იგრძოს. იგი სიამოვნებს მხოლოდ იმიტომ, რომ მყისვე მოჰყირჰდეს და უარჰყოს იგი.

მანქანის გამოგონებამ შრომა ფრიად შეამცირა. ეს შემცირება მუშა-ქალებსა და საერთოდ მუშებს ზარმაცობის, ყოველგვარ ცოდვათა ამ დედის ხელში ჩააგდებდა. მაგრამ კურტიზანკამ მფლანგველობა საზოგადოებრივ ფუნქციად აქცია. იგი მრეწველობის ტეხნიკის დარგში პროგრესის ზრდასთან ერთად თავის მოთხოვნილებებსა და ფუფუნებასაც უმატებს ხოლმე და ამით იგი უბედურ პროლეტარებს შრომას არ აკლებს, შრომას, რომელიც ყველა სათნოებათა წყაროა.

გარდასულ დროებათა ცრუსარწმუნოებათა მორალზე მაღლა მდგარი მორალი კაპიტალის სარწმუნოებისა — არ აღიარებს ადამიანთა თანასწორობას. უმცირესობაც, მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას უნდა ხვდეს სიკეთენი კაპიტალისა. ფალლოსი წინანდებურად როდი-ღა ათანასწორებს ადამიანებს.

კურტიზანკას, რომელიც ნთქავს მრავალ ადამიანთა დოვლათსა და შეძლებას, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებს, მექარხნეები და მემაღაზიები აღმერთებენ. იგი მფარველი ანგელოზია, ხელის შემწყობი ვაჭრობისა და მრეწველობისა.

კურტიზანკა არ უნდა წაიბილწოს დაბალ ხალხის და ტეტიების უწმინდური კოცნით, ვინაიდან კაპიტალი თავის რჩეულთ უნდა აძლევდეს ბუნებისა და ხელოვნების ნაზ და ძვირფას ნაწარმოებს.

თუმცა კურტიზანკა მოწოდებულია ფარდა ახადოს საზოგადოებრივ ფარისევლობას, დაგვანახვოს ადამიანთა გახრწნილობისა და სიწამხდრის უფსკრული, მაგრამ სამაგიეროდ იგი თავის დღენი ყოველთვის ფუფუნებასა და ზეიმშია. არისტოკრატები და ბურჟუები,

პატივისცემის ღირსნი და ნამდვილად პატივცემულნი მუდამ იმას სცდილობენ, რომ რომელიმე კურტიზანკა, რომელიც მთელს ქვეყანას ეკუთვნის ქალბატონად, თავის საკუთრებად აქციონ. და ხანდახან ისიც ჰხდება, რომ კურტიზანკა, თავზე ხელაღებულ ქეიფსა და ზეიმთა შემდეგ, სრულიად წყნარ და ხელსაყრელ ქორწინებით ათავებს ცხოვრებას.

მისი ახალგაზდობის გზაფხულზე კაპიტალისტები მის ფერხთა წინაშე ანარცხებენ თავის გულს, რასაც კურტიზანკა ზიზღით უცქერის და აგრეთვე ქონებას, რომელსაც იგი ანიავებს. მსახიობნი და მწერალნი თავს ევლებიან მას და მონურ პირმოთნეობა-მლიქვნელობით თაყვანსა სცემენ.

თავის ცხოვრების მწუხრზე, როდესაც კურტიზანკა უკვე ჩასუქებული და მოთენთილია, იგი ჰკეტავს თავის დუქანს და ფართოდ აღებს თავის სახლის კარებს. მაღალი წრის კაცები და ზნეობით სასტიკი ქალები მას უმეგობრდებიან, მისთვის ზრუნავენ და ამით გამოხატავენ თავის პატივისცემას მის სიმდიდრისადმი, რაიც მის წარსული შრომის ნაყოფია.

კაპიტალი თავის სიკეთეთა კალთას კურტიზანკას აბღერტს. იგი მას ანთავისუფლებს იმ მოვალეობათაგან, რომელიც მის სქესს ეკისრება. დედინაცვალი — ბუნება — ქალებს აკისრებს ფრიად მძიმე ტვირთს ჩამომავლობის განგრძობისას: მაგრამ მწარე ტკივილები, დედის მუცელს რომ ჰფლეთს, მხოლოდ შეყვარებულთა და მარტოოდენ ცოლთა ხვედრია[1]). უფალი ჩვენი ფრიად კეთილ არს და ამიტომ იგი კურტიზანკას ანთავისუფლებს ორსულობისაგან, ვინაიდან ორსულობა მის სხეულს დაამახინჯებს და აგრეთვე თავისუფალია იგი მშობიარობის ტკივილებისაგან. უფალი ანიჭებს მას ბერწობას, ამ სიკეთეს, რომელსაც მრავალი ნატრულობს.

კურტიზანკა მესამე, საშუალო სქესს ეკუთვნის, იგი ჩვეულებრივ ქალებს უთმობს ჩამომავლობის განგრძობის ბილწ და მტანჯველ საქმეს[2]).

---

[1]) სწორედ საყვარელი, სწორედ ცოლი უნდა ეხვეწებოდეს ქალწულს მარიამს და მიჰმართავდეს მას მოუშ-ქალის მხურვალე ლოცვით: "ჰოი, წმიდაო ქალწულო, რომელმაც განუხრწნელად ჰშობე, მომმადლე მე, რომ განვიხრწნე (შევცოდო) უშობელად".

[2]) ჰეტორები ოგიუსტ კონტის აზრს გაუტაცნია. პოზიტივიზმის შემქმნელი წინასწარმეტყველებდა: ოდესმე შეიქმნება ქალთა უმაღლესი მოდგომა, რომელიც ორსულობისა და მშობიარებისაგან თავისუფალი იქნებაო. კურტიზანკა მართლაც იდეალი უნდა იყოს ამ ბურჟუაზიულ ფილოსოფოსისთვის.

პ. ლაფარგის შენიშვნა.

კურტიზანკები უმეტეს წილად საზოგადოების დაბალ წრიდან გამოდიან. განა სირცხვილი არაა, განა გული არ უნდა გვტკიოდეს, რომ ისინი, რომელნიც ქვეყნად ასეთ მაღალ საფეხურზე დგანან საზოგადოების ნაძირალათა წრიდან გამოდიან?

ჩემო მსმენელო ქალებო! თქვენ ხომ უმაღლეს კლასებს ეკუთვნით! მოიგონეთ, რომ ლიუდოვიკო მე-XV-ს თავად-აზნაურობა უსაყვედურებდა: საყვარლებს დაბალ წრიდან რათ იყვანო. ქალებო! გამოაცხადეთ ერთ-ერთ თქვენს ძვირფას პრივილეგიად — უფლება კურტიზანკების მიცემისა კაპიტალის რჩეულთათვის. უკვე მრავალი თქვენგანი, მეუღლის მოსაწყენ მოვალეობათაგან თავმობეზრებული ჰყიდის თავის სხეულს, ვითარცა კურტიზანკა. მაგრამ ისინი თავისი სქესით ვაჭრობენ მხოლოდ, ისინი ფარისევლობენ. მიჰბაძეთ ძველ რომის პატივცემულ მატრონებს, რომელნიც ედილებთან ეწერებოდნენ, რათა თავისუფლად გაეწიათ მეძაობა. უკუაგდეთ, მოიშორეთ და ფეხით გასთელეთ იდიოტური და დახავსებული ზნე-ჩვეულებანი, რომელიც მხოლოდ მონებს ღა თუ შეჰფერით. კაპიტალს, ღმერთს, ახალი ზნეობა მოაქვს, იგი აღიარებს ადამიანის თავისუფლების დოგმატს. იცოდეთ, თავისუფლება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მოიპოვოთ საკუთარი თავით თავისუფლად ვაჭრობის უფლება. ივაჭრეთ სხეულით, მოიშორეთ ამით ცოლ-ქმრობის ღელი.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში კურტიზანკის შრომისთანა ღირსეული სხვა შრომა არა არის რა. მართლადაც და შეხედეთ მუშა-ქალების შრომას და მერე დასტკბით კურტიზანკის შრომის ყურებით! მთელი დღის მოსაბეზრებელ შრომის შემდეგ, მუშა-ქალი, ყველასაგან მოძულებული, ყველასაგან საცინლად აგდებული, ფერწასული და წელში მოხრილი — მიემართება სახლისაკენ და თავის გაძვალტყავებულ ხელში უჭირავს დღიური ქირა, რომელიც ისე მცირეა, რომ ძლივს ყოფნის მას საჭმელ-სასმელისთვის, მხოლოდ იმდენ საზრდოსთვის, რომ იგი შიმშილით არ მოკვდეს. კურტიზანკა, მხიარული, გაბრწყინვებული, ვითარცა ახალგაზრდა ღმერთ-ქალი, ცქვიტად წამოიჭრება ზეზე თავის სარეცელიდან, ან თავის გრძელ კრესლოდან, თავის სურნელოვან თმებს შეაქანებს და უზრუნველად იწყებს ოქროების ან ბანკის ბილეთების თვლას. შრომა არავითარ დაღს არ სტოვებს მის სხეულზე, არავითარი ჭუჭყი არ რჩება მასზე. იგი მხოლოდ პირს გამოირეცხს და მოიწმენდს ოა ტუჩებს — ღიმილით იტყვის: აბლა რომლის რიგია?

თქვენ, ჰეი, ფილოსოფოსნო, თქვენ, რომელნიც აქამდე დაუზარებლად სცოხნით ანტიურ ზნეობის მოძველებულ მცნებებს სთქვით

ულახდილად, ვისი შრომა უფრო სასიამოვნოა კაპიტალისთვის: შრომა მუშა-ქალისა თუ კურტიზანკასი?

კაპიტალი ნივთისადმი თავის პატივისცემას იმით გამოხატავს, რომ ნებას იძლევა იგი ამა თუ იმ ფასით გაიყიდოს. აბა დატრიალდით, ფარისეველო მორალისტებო, აბა, მოსძებნეთ ადამიანთა ათასგვარ ხელობაში ისეთი ხელობა ან შრომა, ფიზიკური ან გონებრივი, რომელიც ასე უხვად ჯილდოვდებოდეს, ვითარცა შრომა კურტიზანკისა? მეცნიერის სწავლა-გმნათლება, მეომრის სიმამაცე, მწერლის გენიოსობა, მუშის ხელოვნება—განა ოდესმე ისე უხვად ჯილდოვდებოდა, განა ოდესმე იმდენი გაუღიათ მისთვის, რამდენსაც აძლევდენ კორა პეარლის თითო კოცნაში?

კურტიზანკის შრომა წმინდა შრომაა, შრომა, რომელსაც კაპიტალი ყველა სხვა შრომაზე უხვად აჯილდოებს.

ძვირფასო დებო ჩემო, ყური დამიგდეთ, მისმინეთ მე—ჩემის პირით თვით ღმერთი ლაპარაკობს!

თუ თქვენ იმდენად გაგწყრომიათ უფალი, რომ არ უკადრიხობთ მუშა-ქალის მტანჯველ შრომას, რომელიც გონებას ახმობს და ხეულს ამახინჯებს—ნუ დაადგებით გარყვნილების გზას!

თუ თქვენ იმისკენ მიისწრაფვით, რომ ოჯახის დიასახლისი გახდეთ, სახლში ჩაიკეტოთ და იძულებული იყოთ ყოველ გროშის დახარჯვაზე კანკალებდეთ—ნუ დაადგებით გარყვნილობის გზას!

თუ თქვენ გსურთ თავი შეაკლათ მეუღლის ოჯახს, თუ თქვენ გსურთ განმარტოებით იყოთ, მიტოვებული ქმრისაგან, რომელიც თქვენს მზითევს კურტიზანკასთან ანიავებს—ნუ დაადგებით გარყვნილების გზას!

მაგრამ თუ თქვენ ზრუნავთ საკუთარ თავისუფლებისათვის, საკუთარ ღირსებისა, სახელისა და ამა სოფლის სიკეთეთა საგემებლად; თუ თქვენში არის საკმარისი სიამაყე, რომ არ დასთანხმდეთ მუშა-ქალის დამამცირებელ შრომას და გასწიოთ დიასახლისის უკეთური ცხოვრება;

თუ თქვენ გსურთ იყოთ დედოფალი მეჯლისებისა და თანამედროვე ცივილიზაციის სიტკბოებათა მიჰბაძეთ კურტიზანკას!

აი, ღვთის მადლი, რომლისა თქვენზე მოვლინებას ვისურვებ. ამინ!

IV. კაპიტალისტის წიგნი

ამ წიგნმა რამდენისამე კაპიტალისტის ხელში გაიარა. მათ იგი წაიკითხეს და თავისი შენიშვნები დაურთეს. აი, ერთი ამ შენიშვნათაგანი:

„უეჭველია ამ ღვთაებრივ სიბრძნის წესებს დაქირავებულთა ულეში გონება უკულმართად გაიგებს. მე იმ აზრისა ვარ, რომ ეს წიგნი გადაითარგმნოს ვოლაპესა ან სხვა რომელსამე წმინდა ენაზე".

ხელს აწერს: **ჟიულ სიმონ.**

„საჭიროა მოვიგონოთ იუდეველთა რაბინების მაგალითი, რომელნიც უვიცებს უკრძალავდენ ძველი აღთქმის ეკლესიასტეს კითხვას და ამიტომ „კაპიტალისტის წიგნის" წაკითხვის ნება მხოლოდ იმ რჩეულთ უნდა ჰქონდეთ, რომელთაც ერთი მილიონი მაინც აქვთ".

ხელს აწერს: **ბლეიხრედერი.**

„ჩემის აზრით ერთი მილიონი ფრანკი, ან მარკა საკმარისი როდია, მე ვასახელებ ერთ მილიონ დოლარს".

ხელს აწერს: **ჯ. გულდი**

1. ბუნება კაპიტალისა.

1. ისმინე და ჩაუფიქრდი სიტყვებსა შენის უფლის—კაპიტალისასა.

2. მე ვარ უფალი, ადამიანთა ჩანმთქმელი. მე მიუჯდები მაგიდას სახელოსნოში და მივირთმევ დაქირავებულებს. მე კაპიტალად ვაქცევ მუშის გაძვალტყავებულ არსებობას. მე—გამოუცნობელი საიდუმლოება ვარ: ჩემს მარადიულ შინაარსს სხვა არა შეადგენს რა, თუ არ ადამიანთა ხრწნილი სხეული. ჩემი ძლევამოსილება სხვას არას ემყარება, თუ არ ადამიანთა სისუსტეს. კაპიტალის უძრავი ძალა—ეს დაქირავებულთა ცოცხალი ძალაა.

3. მე ვარ დასაბამი ყოველთა დასაბამთა: ჩემგან გამომდინარეობს ყოველივე წარმოება, ჩემსკენ მოჰყავს ყველა—ყოველგვარ აღებ-მიცემობას.

4. მე ვარ ღმერთი ცხოველი. მე ყოველგან ვარსებობ: რკინის გზები, მბრძედი ფეჩები, ხორბალი, გემები, ვენახები, ოქროს და ვერცხლის ფულები—ეს არის მთელ მსოფლიოში გაფანტული აგენტები კაპიტალისა.

5. მე ვარ განათლებულ ქვეყნიერების სული, რომელიც არ განიზომება, სხეული, რომელიც დაუსრულებლივ იცვლის თავის სახეს. მე იქა ვარ, სადაც სყიდვა-გაყიდვაა. ჩემი სული სჩანს ყოველ ნივთში და არაფერი არსებობს გარეშე ჩემი ცხოველი არსებისა.

6. მე თვალს ვჭრი ოქროში და ვყარვარ—ნეხვში. მე ვარ სიამოვნება—ღვინოში და მომაქვს საწამლავი შაბიამანში.

7. ჩემი ნივთები, მარადის ზრდაში მყოფი, უჩინარ მდინარედ ჩქეფს ნივთიერებაში. ჩემი ნივთები ნაწილდება და ნამცეცდება დაუსრულებელ მცირე ნაწილაკებად, რომელსაც გონება ვერ წარმოიდგენს; იგი იღებს განსაკუთრებულ სახეს, ფორმას, რომელიც ყოველ საქონელში ცხადდება, მე სრულიად ადვილად გადავდივარ ერთი საქონლიდან მეორეში: დღეს მე პური და ხორცი ვარ, ხვალ—მწარმოებლის დაქირავებულ მუშათა მარჯვენა, ზეგ—რკინის ზოდი, მატერიის ნაჭერი, დრამატიული ნაწარმოები, ერთი ფუთი ლორი ან ტომარა ნაკელი. კაპიტალის სულის მოგზაურობა არასოდეს არ სწყდება. ჩემი შინაარსი უკვდავია, ხოლო ფორმები მისი იცვლება—ის იღუპება და მარადისობაში გადადის.

8. ადამიანი ჰხედავს, ხელით ეხება, გრძნობს და იგემებს ჩემს სხეულს, მაგრამ ჩემი სული ნაზია, ვითარცა ეთერი, იგი ადამიანის გრძნობათათვის შეუცნობელია. ჩემი სული—კრედიტია. რათა თავისი ძალა გამოიჩინოს, მას როდი სჭირდება სხეული ჰქონდეს.

9. ჩემი სული—უფრო ნასწავლი ქიმიკოსია, ვიდრე ბერცელიუსი და ჟერარი. იგი ქალალდის აქციებად აქცევს თვალუწვდენელ მინდვრებს, ბუმბერაზ მანქანებს, მძიმე მეტალებსა და მობღავლე ფარას. ჩემს ტაძარში—ბირჟაზე, მაღაროები და ქარხნები ხელიდან-ხელში გადარბის უფრო ადვილად, ვიდრე ელექტრონით გაჟღენთილი დიდგულას ბურთობები.

10. უჩემოდ არაფერი იწყება და უჩემოდ არა თავდება რა იმ ქვეყნებში, რომელთაც **ბანკი** დაუფლებია. მე ვანაყოფიერებ შრომას. მე ვაიძულებ ბუნების უძლეველ ძალას—ადამიანს ემსახუროს. მე ადამიანს ხელში ვაძლევ მეცნიერებისგან დაგროვილ გამოცდილებათა აზარმაცს.

11. მე ვარ ის, საზოგადოებებს—ვაჭრობისა და მრეწველობის ოქროს ქსელში რომ ვითრევ.

12. ადამიანმა, რომელსაც არა გააჩნია რა, რომელსაც კაპიტალი არა აქვს—თავისი დღენი სიღატაკეში უნდა გაატაროს; იგი გარშემორტყმულია შეუბრალებელი მტრებით, რომელთა ხელშია ტანჯვა-წვალების ყოველგვარი იარაღი.

13. თუ ადამიანი, რომელსაც კაპიტალი არა აქვს, ღონიერია, ვითარცა კამეჩი, მას ზურგს აჭიდებენ ყველაზე მძიმე ტვირთს. თუ იგი ჭიანჭველასავით შრომის მოყვარეა—სამუშაოს გაუორკეცებენ. თუ იგი ხელმოჭერილია და ცოტა რამ ჰყოფნის, ვითარცა სახედარს—მას საზრდოს მოუკლებენ, ულუფას შეუმცირებენ.

14. რას წარმოადგენს მეცნიერება, სათნოება და შრომა უკაპიტალოდ? მხოლოდ ამაოებას და ფუჭ ჭკუის ძალდატანებას.

15. კაპიტალის გარეშე— მეცნიერება ადამიანს უმეცრებაში აგდებს და სიგიჟემდე მიჰყავს. სათნოება და შრომა — ადამიანს სიღატაკის მორევში აგდებს.

16. ვერც მეცნიერება, ვერც სათნოება, ვერც შრომა—ადამიანის სულს ვერ აკმაყოფილებს. მხოლოდ მე, მარტოოდენ მე—კაპიტალი, ვაძლევ მის ავხორცობასა და მადის გაუმაძღრობას—საკმარის საზრდოს.

17. მე კაცს ხელში უვარდები და კვლავ გავუფრინდები—საკუთარის ნებისამებრ: არავის წინაშე ვარ პასუხისმგებელი. მე ვარ ყოველად შემძლებელი, უფალი თქვენი, გამგებელი მკვდარ ნივთიერებათა და ცოცხალთა ნივთთა.

2. კაპიტალის რჩეულნი

1. ადამიანი ნივთიერების მყრალი გროვაა. იგი ქვეყნად ჩნდება შიშველი, ვითარცა მატლი. ბოლოს, ხის ყუთში დალურსმული, იგი ლპება მიწაში და მისი გახრწნით ნოყიერდება ნიადაგი მინდვრის ყვავილთა გახარებისთვის.

2. მიუხედავად ამისა, მე სწორედ ეს სიბინძურისა და სიმყრალის ჭაობი ავირჩიე იმისთვის, რომ მასში ჩემი სახე გამომეჩინა—მე, კაპიტალს, ცას ქვეშეთს ყველაზე სანატრელს საგანს.

3. ჭკუა-მოკლეებს, ღატაკებს—აფასებენ მხოლოდ მათ უხეშ და გაუთლელ ბუნებრივ თვისებათა მიხედვით. კაპიტალისტებს კი მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი კაპიტალის წარმომადგენელნი არიან.

4. მე ვამდიდრებ ავაზაკს, მიუხედავად მისი ძარცვა-გლეჯისა. მე ვაღატაკებ მართალ ადამიანს, მიუხედავად მისი სიმართლისა. მე მხოლოდ იმათ ვწყალობ, ვინც მომეწონება.

5. მე კაპიტალისტს ვსწყალობ არა მისი გონიერების, არა მისი პატიოსნებისთვის, არა სილამაზისთვის. მისი სისულელე, მისი ცოდვები, მისი სიმახინჯე და მისი სხეულის უძლურებაც არის ჩემი განუსაზღვრელი ძლიერების დამამტკიცებელი ისევე, როგორც სხვა მხარე ჩემი მოქმედებისა.

6. ვინაიდან კაპიტალისტს ჩემს რჩეულად ვაცხადებ — ამიტომ იგი ხდება განხორციელება ყოველგვარ სიკეთისა, მშვენიერებისა და

გენიალობისა. ადამიანები მის უშნო სიტყვას ენამახვილობას უძახიან, პოეტები თავის აღმაფრენას მასთან ეძიებენ, დაჩოქილი მსახიობები მისგან მოელიან კრიტიკასა და განაჩენს, ქალები ფიცით არ იღლებიან: იგი ჭეშმარიტად იდეალური დონ-ჟუანიაო. ეკონომისტები ამტკიცებენ: კაპიტალისტის უსაქმურობა — საზოგადოებრივ ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა.

7. დაქირავებულთა მთელი ხროვა მუშაობს სასარგებლოდ კაპიტალისტისა, რომელიც მხოლოდ ჭამა-სმასა, გარყვნილებასა და დამძიმებულ კუჭისაგან შეწუხებული — დასვენებაში ატარებს დროს.

8. კაპიტალისტი არც ხელებით მუშაობს, არც გონებით.

9. კაპიტალისტს ჰყავს თავისთვის ცხოველები — მამლები და დედლები, რომელნიც მიწას ხნავენ, რკინას სჭედენ, ტილოს ქსოვენ. მას დირექტორები და ზედამხედველები ჰყავს თავის სახელოსნოთა წარსამართავად. მას ჰყავს მეცნიერნი, რომელთა ხელობა — მისთვის აზროვნება და ფიქრია. კაპიტალისტი კი მარტოოდენ თავის მუცელს აჰყოლია. იგი სჭამს და სვამს მხოლოდ იმიტომ, რომ ნეხვი ამრავლოს.

10. მე საუკუნო ბედნიერებას ვანიჭებ და ზედმეტ მაძღრობას ვაძლევ ჩემს საყვარელ არსებას. ვინაიდან—განა არის რამე ქვეყნად უკეთესი, უფრო ჭეშმარიტი — ვიდრე ჭამა, სმა, გარყვნილება და სიამოვნება? ყველაფერი ამის გარეშე — მარტოოდენ ამაოება და ფუჭი ოცნებაა.

11. რათა ჩემს რჩეულს ცხოვრება უფრო გავუსიამ-ტკბილო, მე ვიცავ მას ტანჯვა-წვალებისაგან და დარდებს ვუქარვებ.

12. მხედველობას თავისი ორგანო აქვს. გემოვნებას, შეხებას, ყნოსვას, სმენას, სიყვარულს — აგრეთვე თავ-თავიანთი ორგანოები აქვთ. მე ყველაფერს ვასრულებ, რასაც ჩემი რჩეულის თვალები, პირი და სხვა ორგანო მოინდომებს.

13. სათნოება ორ პიროვანია: კაპიტალისტის სათნოება ისაა, რომ თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს; სათნოება დაქირავებულ მუშისა — მოთხოვნილებათა გულში ჩაკვლაში მდგომარეობს.

14. კაპიტალისტი ამ ქვეყნად, რასაც მოისურვებს, იმით სარგებლობს, ვინაიდან იგია ბატონი ამა სოფლისა. ოდესაც მას მოჰბეზრდება ქალები, თავის ავხორცობის და ჟინის გასაღვიძებლად იგი უბიწო გოგოებს მოიყვანს.

15. კაპიტალისტი — თვითონ არის თავის თავის ბატონი და კანონი. კანონმდებლები კანონებს მისი ქეიფის მიხედვით სწერენ; ფილოსოფოსები მისი ცხოვრების მიხედვით სწერენ საზნეობო მცნებებს.

კაპიტალისტების საქციელი მუდამ კეთილია და სამართლიანი. ყოველი მოქმედება, მის წინააღმდეგ მიმართული, დანაშაულებათ ითვლება და ამის შესაფერისადაც ისჯება.

16. ჩემს რჩეულებს ისეთს სიამ-ტკბილობასა და ბედნიერებას ვანიჭებ, რაიც დაქირავებულ მუშებს სიზმრადაც არ მოეზმანებათ. მოგების შეგროვება—უმაღლესი ნეტარებაა. თუ ჩემი რჩეული, სიმდიდრისა და ქონების შეძენისთვის მზრუნველი—ჰკარგავს ცოლს, დედას, შვილებს, თავის ძაღლსა და თავის პატიოსან სახელს—ყველაფერს ამას იგი მოთმინებით იტანს. მაგრამ მოგების საქმის დაბრკოლება, მისი შემცირება ეს გაუსწორებელი უბედურებაა, რომლის დროსაც კაპიტალისტი ვერსად და ვერასოდეს ვერავითარ ნუგეშს ვერა ჰპოვებს.

3. კაპიტალისტის მოვალეობანი.

1. მრავალ არიან წვეულნი, მაგრამ მცირედ—რჩეულნი. დღითიდღე მე უფრო მეტად და მეტად ვამცირებ ჩემთა რჩეულთა რიცხვს.

2. მე კაპიტალისტებს ხელში ვუვარდები მთლად და მერე ვნაწილდები მათ შორის. ყოველი მათგანი ღებულობს ერთაერს კაპიტალის ნაწილს, ყოველ მათგანს აქვს უფლება შეინარჩუნოს იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მას ზრდაში ამყოფებს, თუ მისი საშუალებით ახალ-ახალ კაპიტალს წარმოშობს. კაპიტალი თვალსა და ხელს შორის გაუქრება მას, ვინც მის კანონებს არ მისდევს.

3. კაპიტალისტი ავირჩიე მე, რათა ზედმეტი ღირებულება მიითვისოს მან. მოგების შეგროვება—აი მისი მოვალეობა.

4. რათა მოგების შეგროვების დროს იყოს თავისუფალი, ვითარცა ფრინველი, კაპიტალისტი ხელს იღებს სიყვარულისა და მეგობრობის ყოველგვარ გამოხატულებაზე. მან არ იცის არც მეგობარი, არც ძმა, არც დედა, არცა მეუღლე, არცა შვილები იმ დროს, როდესაც საქმე ეხება სარგებლობას, მოგების ამოღებას.

6. კაპიტალისტისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება და ზღუდე, რომელიც ჩვეულებრივ მომაკვდავს აიძულებს ერთი სამშობლო ადიდონ, ერთ რომელსამე პარტიას ეკუთვნოდენ. ვინც უნდა იყოს იგი—რუსი თუ პოლონელი, ფრანგი თუ გერმანელი, ინგლისელი თუ ირლანდიელი, თეთრკანიანი თუ შავ-კანიანი—უპირველესად ყოვლისა იგი—ექსპლოატატორია. მხოლოდ ამის გარეშე არის იგი მონარქისტი ან რესპუბლიკანელი, კონსერვატორი, რადიკალი ან თა-

ვისუფალი მოაზროვნე. ოქროს თავისი ფერი აქვს და მის წინაშე კაპიტალისტების მიმართულებანი თავის ფერადობას ჰკარგავენ.

6. კაპიტალისტი ერთნაირის გულგრილობით იჯიბავს ოქროს, იქნება იგი ცრემლში ამოვლებული, სისხლით გასვრილი, თუ ლაფში ამოთხუპნული.

7. იგი თავის ზვარაკად როდი სწირავს ვულგარულ ცრუმორწმუნოებას. იგი ბლომად ამზადებს პროდუქტებს არა იმისთვის, რომ შეჰქმნას კარგი ღირსების საქონელი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელთაც ბლომად მოგების მოტანა შეუძლიანთ. იგი აარსებს საზოგადოებებს არა იმიტომ, რომ დივიდენდები გაანაწილოს, არამედ იმიტომ, რომ აქციონერების კაპიტალს დაეპატრონოს; ვინაიდან მცირედი თანხები — დიდი თანხების ულუფაა, ეს დიდები თავის მხრით შეადგენენ კუთვნილებას მათზე დიდ კაპიტალისას, რომელიც ანთებული თვალებით შესცქერის მათ და ყოველ წუთს მზადაა გადაყლაპოს. ასეთია კანონი კაპიტალისა.

8. ამყავს რა ადამიანი იმისთანა სიმაღლეზე, როგორზედაც სდგას კაპიტალისტი — მე მას, კაპიტალისტს, ვანიჭებ ადამიანთა და ნივთიერებათა მიმართ ჩემს ყოვლად-შემძლებლობის ნაწილს.

9. კაპიტალისტი უნდა ამბობდეს: საზოგადოება — ეს მე ვარ; ზნეობა — ეს ჩემი ქეიფი და გემოვნებაა; კანონი — ესაა ჩემი ინტერესიო.

10. თუ ვინმე რასმე ავნებს თუნდ ერთი კაპიტალისტის ინტერესს — ამით ზარალი მოსდის მთელ საზოგადოებას, ვინაიდან კაპიტალის ზრდის შეუძლებლობა ყოვლის უარესი ბოროტებაა, ბოროტება, რომლის საწინააღმდეგოდ არავითარი წამალი არა სჭრის.

11. კაპიტალისტი აიძულებს სხვას შეჰქმნას ღირებულება, თვითონ კი არას აკეთებს. იგი აიძულებს სხვებს — იმუშაონ, თვითონ კი არა მუშაობს. მას აკრძალული აქვს ყოველგვარი შრომა: იქნება ეს ფიზიკური თუ გონებრივი. ასე რომ არ იყოს, მაშინ კაპიტალისტი იძულებული გახდებოდა ეღალატნა თავის წმინდა მოვალეობისათვის, ეღალატნა მოგების დაგროვების სამღრთო საქმისთვის.

12. კაპიტალისტი არ შეიძლება შეავადაროთ ჭკუა-მოკლე ციყვს, რომელიც სანაქსოიალაში შეუჩერებლივ ტრიალებს და ჰგონია — აკეთებს რასმე.

13. კაპიტალისტი ძალიან ნაკლებად ზრუნავს ღვთის დიდებისათვის, რომლის შესახებ ასე ტკბილად ჰგალობენ ცის მოციქულნი. მას ნაკლებად ეინტერესება აგრეთვე საკითხი, ჭრიჭინა რის საშუალებით ჭრიჭინებს, უკანა ფეხებით თუ ფრთების ერთმანეთზე ხახუნით.

იგი არ იტკივებს თავს არც იმ საკითხით ჭიანჭველა კაპიტალისტია თუ არა [1]).

14. კაპიტალისტს არ აწუხებს საკითხი არსებათა დასაბამისა და დასასრულისა, იგი მხოლოდ იმის ფიქრშია გართული, რომ მათგან სარგებლობა და მოგება ნახოს.

15. კაპიტალისტი ხალისიანად უთმობს ასპარეზს ოფიციალურ პოლიტიკურ ეკონომიის თეოლოგებს—თავი იმტვრიონ მონომეტალიზმისა და ბიმეტალიზმის შესახებ ყბედობით; თვითონ კი ამ დროს ჯიბეებს იტენავს ფულით—ბაჯაღლო იქნება იგი თუ ვერცხლი, ეს მისთვის სულ ერთია.

16. იგი მეცნიერებს ანდობს ბუნების მოვლენანი გამოიკვლიონ (მათ ხომ სხვა არაფრის შნო აქვთ) და ბუნების ძალნი გამოიყენონ მრეწველობისათვის—თვითონ კი მხოლოდ იმას ცდილობს, მყისვე ხელთ იგდოს და ისარგებლოს ამ მეცნიერთა სულ უმნიშვნელო აღმოჩენებით, თუ კი ეს აღმოჩენა მას ექსპლოატაციის იარაღად ოდნავ მაინც გამოადგება.

17. კაპიტალისტი თავს არ იწუხებს საკითხით—სიკეთე და მშვენიერება ერთი და იგივე ცნებაა თუ არა. მაგრამ იგი პირს იმტკბანურებს ტრიუფელებით [2]), რომელიც ასეთი გემრიელია, თუმცა გარეგნად ღორის ცურცლზე უარესია.

18. იგი აღტაცებით ტაშს უკრავს სიტყვებს მარადიულ ჭეშმარიტებათა შესახებ, მაგრამ თვითონ ფულს იგებს ფალსიფიკაციის საშუალებით, ფალსიფიკაციისა, რომელსაც იგი დღითი-დღე უფრო და უფრო აძლიერებს.

19. კაპიტალისტი სათნოების, სიყვარულის და სინიდისის შინაგან არსების გარშემო როდი ეწევა სპეკულიაციას, იგი მით სყიდვა-გაყიდვის დროს ითბობს ხელს.

20. კაპიტალისტი არა კითხულობს, კარგია თუ არა **თავისუფლება** თავის-თავად. იგი ყოველგვარ თავისუფლებას ერთბაშად თვითონ ეუფლება, სახრავს თვითონ იღებს, დაქირავებულ მუშებს კი მხოლოდ სახელს უტოვებს.

---

[1]) კაპიტალისტურ სახარების ავტორი აქ, ეტყობა, თავს იქნევს იმ თავმომაბეზრებელ ეკონომისტებისაკენ, რომელნიც მიჭქარავენ: კაპიტალი ადამიანზე ადრე გაჩნდაო, ვინაიდან ჭიანჭველა, აგროვებს რა თავისთვის მარაგს, კაპიტალისტურ აქტს სჩადისო.

პ. ლაფარგის შენიშვნა.

[2]) განსაკუთრებული ჯიშის სოკოა, ძვირფას საჭმელთა საკაზმავად იხმარება.

მთარგმნ.

21. იგი თავს არ იტკივებს საკითხით: რა უფრო მაღლა დგას — **უფლება** თუ **ძალა**, ვინაიდან კარგად იცის, რომ ყოველი უფლება აქვს მას, რადგან მას ეკუთვნის კაპიტალი.

22. კაპიტალისტი **საყოველთაო საარჩევნო უფლების** არც მომხრეა, არც მოწინააღმდეგე. მას არც ამ საარჩევნო უფლების შეზღუდვის საკითხი ეინტერესება — იგი ხომ ყოველგვარ სახის უფლებით სარგებლობს. როდესაც საარჩევნო უფლება შეზღუდულია — კაპიტალი ამომრჩევლებს მოისყიდის, ხოლო საყოველთაო საარჩევნო უფლების დროს — იგი ამომრჩევლებს მოატყუებს. თუ არჩევანზე მიდგა საქმე — იგი საყოველთაო საარჩევნო უფლებას მისცემს უპირატესობას, ეს უფრო იაფად დამიჯდებაო, ვინაიდან შეზღუდულ საარჩევნო უფლების დროს კაპიტალისტს უხდება მოსყიდვა როგორც ამრჩევლებისა, ისე არჩეულთა. საყოველთაო არჩევნების დროს კი მისთვის მარტოოდენ არჩეულთა მოსყიდვა კმარა.

23. კაპიტალისტი არ ერევა პროტექციონიზმის და ვაჭრობის თავისუფლების შესახებ უსაქმურ ლაპარაკში: იგი ხან ერთს სისტემას მიემხრობა, ხან მეორეს — იმის და მიხედვით, თუ რა უფრო სასარგებლოა ამ ჟამად მისი ვაჭრობისა და მრეწველობისათვის.

24. კაპიტალისტს არავითარი პრინციპები არა აქვს — მას არა აქვს ის პრინციპიც კი, რომ უარყოს საჭიროება პრინციპების ქონისა.

25. კაპიტალისტი ჩემს ხელში ის რკინის კომბალია, რომლითაც მივერეკები მე დაქირავებულთა ურჩს ფარას.

26. კაპიტალისტი თავის გულში აქრობს ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას, მას არა აქვს შებრალება. იგი თავის მოყვასს ისე ექცევა, ვითარცა პირუტყვს. ქალი, კაცი თუ ბავშვი მას წარმოუდგენია მხოლოდ როგორც მისი მოგების შემქმნელი მანქანები. კაპიტალისტი ფოლადის გარსს უკეთებს თავის გულს, რათა მისმა თვალებმა უბედურ დაქირავებულთა ტანჯვას დამშვიდებით უყუროს, რათა აუთრთოლებლად მოისმინოს მან დაქირავებულთა ბრაზმორეული ყვირილი და კვნესა-ვაება.

27. ჰიდრავლიკური პრესსი, ნელ-ნელა და აუქცევლად რომ აწვება ნივთიერებას — წვენს ადენს, ლავაშად აქცევს მას, ასეთივე კაპიტალისტი, რომელიც ფეხით სთელავს დაქირავებულ მუშას, უკანასკნელ ღდინს აცლის, სწუწნის უკანასკნელ წვენს, მის ძარღვებსა და კუნთებში რომ დარჩენილა. ყოველი წვეთი ოფლისა, რომელსაც

იგი მუშას გამოსწურავს კაპიტალად იქცევა. როდესაც მუშა, ძალ-მილეული და უძლური უკვე ველარ ეწევა ზედმეტ შრომას, რაიც ზედმეტ ღირებულებას ჰქმნის—კაპიტალისტი მას ქუჩაში ერეკება, გადისვრის ისე, ვითარცა ქარხანაში მუშაობის დროს დაგროვილ ნაგავსა და ნაყარ-ნუყარს.

28. კაპიტალისტი, რომელიც მუშას შეიბრალებს—მოღალატეა ჩემი და თავის თავისა.

29. კაპიტალისტი თავის სენით აავადებს ქალებს, კაცებს და ბავშვებს, რათა მას, ვისაც არ გააჩნია არცა ქონი, არცა მატყლი, არცა სხვა რაიმე საქონელი—ჰქონდეს გასასყიდად სხვა რამ მაინც: ფიზიკური ძალ-ღონე, ჭკუა და სინიდისი, რათა გახდეს კაპიტალად, ადამიანი უპირველესად ყოვლისა საქონლად უნდა იქცეს.

30. მე ვარ კაპიტალი—უფალი და ბატონი ამა სოფლისა. კაპიტა-ლისტი ჩემი წარმომადგენელია: მის წინაშე ყველა თანასწორია, ყვე-ლა ქედს იხრის მისი ექსპლოატაციის მძიმე უღლის ქვეშ. დღიურად შომუშავე, რომელიც ჰყიდის თავის მარჯვენას, ინჟენერი, რომელსაც გამოუტანია გასასყიდად თავისი ცოდნა, კასსირი, რომელიც ჰყიდის თავის პატიოსნებას, დეპუტატი, რომელიც ვაჭრობს თავის წამუსით, ქალი, რომელიც ჰყიდის თავის სხეულს—ყველა ესენი კაპიტალის-თვის დაქირავებულნი, საექსპლოატაციოდ გამოსადეგნი არიან.

31. კაპიტალისტი აიძულებს მუშას—თავისი მუშაობის უნარი გაუმჯობესოს. იგი აიძულებს მას—ძალ-ღონის აღსადგენად იხმაროს მხოლოდ უხეირო და არა ბუნებრივი საჭმელ-სასმელი, რათა მუშამ თავისი მარჯვენა რაც შეიძლება იაფად გაჰყიდოს. იგი უნერგავს მას ანაქორეტის ასკეტიზმს, სახედრის მოთმინებას და ხარივით უხმო მუ-შაობას.

32. მუშა—კაპიტალისტს ეკუთვნის. იგი მისი ქონება, მისი ნივ-თი, მისი პიროტყვია. სახელოსნოში, სადაც ვერავინ ჰხედავს მზის ამოსვლას და ვერც მის ჩასვლას—კაპიტალისტს ჰყავს თვალმარდი ზედამხედველები, რათა მუშა სამუშაოს არ მოსცდეს ერთი წუთითაც კი, რათა მან ხმა არ ამოიღოს.

33. მუშისთვის დრო ფულია. ყოველი გაცდენილი წუთი—ეს მის მიერ ქურდობის ჩადენაა.

34. კაპიტალისტის მჩაგვრელი აჩრდილი მუშას მარადის თან უნდა სდევდეს, სახლამდის აკილებდეს, რათა მუშამ არ წარწყმიდოს სული თვისი ნაირ-ნაირ სოციალისტურ მოძღვრებით, სოციალისტური წიგ-ნები არ წაიკითხოს და სოციალისტების სიტყვები არ მოისმინოს.

მუშამ არ უნდა მოღალოს თავისი სხეული სხვა და სხვა გასართობებით. როგორც კი სახელოსნოდან გავა მან მყისვე თავის სახლს უნდა მიაშუროს, პური სჭამოს და დაიძინოს, რათა მეორე დღის დილას თავის ბატონს ეახლოს ძალ-ღონით აღსავსე და მორჩილებით ქედ-მოხრილი.

35. კაპიტალისტი მუშისათვის არ სცნობს არავითარ უფლებას—თუნდ უფლებას მონობისას, რომელიც თავისთავად არის შრომის უფლება.

36. კაპიტალისტი მუშას ართმევს მის უნარსა, მისი მარჯვენის მოხერხებას და გადასცემს მას მანქანებს, რომელთაც არა აქვთ უნარი აღშფოთებისა და საყვედურების თქმისა.

4. კაპიტალის ბრძნული მცნებანი.

1. მეზღვაური მუდამ ქარიშხლისა და ზღვის ღელვის შიშშია. მაღაროს მუშა ბრგვინავ გზისა მეწყერში ცხოვრობს. მუშა ტრიალებს რკინის მანქანათა თვლებისა და თასმათა შორის. დასახიჩრება და სიკვდილი დასდევს თან მუშას, რომელიც ლუკმა-პურისთვის შრომობს. კაპიტალისტი კი არაფერს არ აკეთებს და ამიტომ ყოველგვარ საფრთხის გარეშეა.

2. შრომა აუძლურებს, სიკვდილის კარამდე მიჰყავს ადამიანი და დოვლათს კი არ აძლევს: სიმდიდრე შეიძინება არა შრომით, არამედ იმით, რომ სხვებს აიძულებდე იშრომონ.

3. საკუთრება—შრომის ნაყოფია და ჯილდოა უსაქმურობისთვის.

4. არ შეიძლება ქვას ღვინო გამოადინო, ან მკვდარ სხეულს მოგება გამოსწურო. ექსპლოატაციას უშვრებიან მხოლოდ ცოცხლებს. ჯალათი, რომელიც დამნაშავეს თავს ჭკვეთს, კაპიტალის მაზარალებელია, ვინაიდან იგი სპობს ცხოველს, რომელიც კაპიტალისტს საექსპლოატაციოდ გამოადგებოდა. [1])

5. ფულსა და ყველაფერს მას, რაიც მოგებას იძლევა სუნი არ ასდის.

---

[1]) ეკლეზიასტე ნათელს ჰფენს კაპიტალისტურ აზრს იმ კამპანიისას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რომლის დროს ქვეყანა შეჰყარა ვიქტორ ჰიუგომ და ჰუმანიტარიზმის სხვა შარლატანებმა.

პ. ლაფარგის შენიშვნა.

6. ფული თავის ოაოდენობით მოგრეცხთ ყოველგვარ საზიზღარ თვისებათა სირცხვილს.

7. ვისაც ფული აქვს, ყოველი სიკეთეც მისია.

8. ქველმოქმედება ფულის გონიერ მოხმარად არ ჩაითვლება, ვინაიდან იგი პროცენტს არ იძლევა.

9. ძილის წინ გირჩევნია ამბობდე: „მე მომგებიანი საქმე გავაკეთე", ვიდრე იძახდე: „კეთილი საქმე ვქმენო".

10. კაპიტალისტი, რომელიც მუშებს 14 საათს ამუშავებს— უსარგებლოდ და ფუჭად არ ატარებს დღეს.

11. ნუ დაინდობ ნურც ცუდს, ნურც კარგ მუშას, ვინაიდან კარგსა და ცუდს ცხენს ორთავეს მათრახი სჭირია.

12. უნაყოფო ხე ძირიანად უნდა მოთხარო და ცეცხლს შეუკეთო. მუშას, რომელიც მოგებას აღარ გაძლევს—შიმშილით უნდა ამოხდეს სული.

13. თუ მუშამ ურჩობა იწყო, ცხელი ტყვია აჭამე.

14. თუთის ფოთლის სატინად გადაქცევას უფრო მეტი ხანი სჭიროდება, ვიდრე მუშის შრომის კაპიტალად ქცევას.

15. ჩანახით იპარე და ჯამით დაუბრუნე ამას ჰქვიან ქველმოქმედება.

16. მუშების გაერთიანებას კაპიტალისტის სიმდიდრეთა შესაქმნელად—კოოპერაცია ჰქვიან.

17. შრომით შექმნილ პროდუქტებიდან ლომის კერძის მითვისებას—მოგებაში მონაწილეობა ჰქვიან.

18. კაპიტალისტი თავისუფლების გაგიჟებული მომხრეა და ამიტომ იგი მოწყალებას არავის აძლევს: მოწყალება უმუშევარს ართმევს თავისუფლებას—შიმშილით სულის ამოხდომისას.

19. ადამიანები, ჩვენში რომ ვსთქვათ, სხვა არას წარმოადგენენ, თუ არ მანქანებს, რომელნიც დაჯილდოებული არიან მოხმარებისა და წარმოების უნარით. კაპიტალისტი მწარმოებელ მარჯვენას ყიდულობს და მომხმარებელს დაეძებს.

20. კაპიტალისტს პირში ორი ენა აქვს: ერთი გაყიდვისთვის, მეორე ყიდვისთვს.

21. ბაგენი, სიცრუით აღსავსენი, ჯიბეს ასქელებენ.

22. მორიდება და ნამუსი— ყოველგვარ საქმიანობის საწამლავია.

23. თუ ყველას ჰპარავ, მაშასადამე არავის არ ჰქურდავ.

24. იქადაგე, რომ ადამიანს შეუძლიან ერთგულების გამოჩენა, ვითარცა ფინიას და ეს დებულება დაამტკიცე საკუთარი თავისადმი ერთგულებით.

25. ერიდე უნამუსო ადამიანს, მაგრამ ნუ ენდობი პატიოსანს.

26. დაპირება—გულკეთილობისა და მოსიყვარულობის ნიშანია. ხოლო დაპირების ასრულება—ჭკუამოკლეობას ნიშნავს.

27. ფულზე ან მეფის სურათია, ან რესპუბლიკის ნიშანი, ეს იმიტომ, რომ ფული, ვითარცა ფრინველი ცისა, მხოლოდ მას ეკუთვნის, ვინც დაიჭერს.

28. მიწაზე დავარდნილ ფულს, რომელიც ას კაპეიკს შეიცავს, მაინც არავინ დაიწუნებს—თუნდაც იგი ლაფში იყოს ამოსვრილი.

29. შენ რაღაც-რაღაცეები გაწუხებს, ათასგვარი საზრუნავი გაქვს, გინდა პატიოსანი იყო, ცოდნისაკენ მიისწრაფვი, პატივმოყვარეობა გაწუხებს და სახელი გინდა გაითქვა—ყველაფერი ეს ფუჭია და ამაოება. ერთი რამ არის მხოლოდ საჭირო—კაპიტალი და კვლავ კაპიტალი.

30. ახალგაზრდობა ჭკნება, სილამაზე ჰქრება, გონება დუნდება—მხოლოდ ბაჯაღლო არ ძველდება და არც სახე უნაოჭდება.

31. ფული—კაპიტალისტის სული და გულია, მისი ყოფა-ქცევის მესაიდუმლე.

32. ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ: ბევრად უკეთესია იყო ბაჯაღლო ოქროთი ან საკრედიტო ბილეთებით გატენილი ჩანთა, ვიდრე იყო ყოველგვარ ნიჭიერებით და სათნოებით აღსავსე ადამიანი, რომელიც ემსგავსება სახედარს—ბაზრისკენ მწვანილს რომ მიათრევს.

33. გენიოსობა, ჭკუა, მორცხვობა, ნამუსი, მშვენიერება—მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ყველა მას გასასყიდი ფასი ადევს.

34. სათნოება და შრომა სასარგებლოა, მაგრამ ეს სათნოება და შრომა—მხოლოდ სხვებს მოეთხოვება.

35. კაპიტალისტებისთვის იმის უკეთესი არა არის რა, ვიდრე ჭამა, სმა, გარყვნილება და სიამოვნება. მეტს ვიტყვით—ესევე მოელის მას თავის დღეთა დასასრულშიაც.

36. ვიდრე კაპიტალისტი სცხოვრობს ადამიანთა შორის, რომელთაც ანათებს და ათბობს მზის სხივები—მან უნდა ინეტაროს და ისიამოვნოს მარადის—ვინაიდან, რაც გინახავს, ვეღარ ნახავ და ვერავინ აიცდენს თავიდან საზიზღარ სიბერეს, ასე მაგრად რომ ჩასჭიდებს ხოლმე მკლავს ადამიანს და საფლავისაკენ უკრავს თავს.

37. საფლავში, სადაც ბოლოს დ ბოლოს უსათუოდ შთახვალ—შენი სათნოებანი როდი ჩაგყვება: იქ მხოლოდ მატლთა და ჭიათა მსხვერპლი გახდები.

38. ყველაფერი, გარეშე გამაძღარ და ხალისით მომუშავე კუჭისა, გარეშე ჯანსაღი და კმაყოფილებით აღსავსე გრძნობათა ამაოებაა და ფუჭი ოცნება.

5. უკანასკნელი სიტყვანი სიბრძნისა

1. მე ვარ კაპიტალი, უფალი ამა სოფლისა.

2. მე დავდივარ და თან მდევს სიცრუვე, სიყალბე, შური, სიბინძურე, ჯაშუშობა და სისხლის ღვრა. ჩემი მიზეზით ჰხდება ოჯახში უთანხმოება, ჩხუბი და დავიდარაბა, მე ვარ მიზეზი სამოქალაქო ომებისა. იქ, სადაც მე გავივლი — ვსტოვებ სიძულვილს, სასოწარკვეთილებას, სიღატაკეს, ჭირსა და სიკვდილს.

3. მე ვარ ღმერთი — სასტიკი და შეუბრალებელი. მე იქ ვმხიაოულობ, სადაც ჩხუბი და ვაი-ვიშია. მე ვაწამებ დაქირავებულ მუშებს და არ ვინდობ კაპიტალისტებს, ჩემს რჩეულთ.

4. მუშა მე ვერსად გამექცევა: თუ ის დასამალავად ცხრა მთას მიაშურებს — მე იქ დავხვდები. თუ იგი ცხრა ზღვას გადასცურავს მე ვეგებები მას ნაპირზე, რომელსაც იგი მიადგება. დაქირავებული მუშა ტყვეა ჩემი და დედამიწა — საპყრობილეა მისი.

5. კაპიტალისტებს მე ვაჯილდოვებ აუტანელ, სრულიად უაზრო სიმდიდრით, ავადმყოფობით აღსავსეთი. მე ჩემს რჩეულთ ვუხშობ ფიზიკურსა და გონებრივ უნარს. მათი მოდგმა ვარდება უძღურებასა და იდიოტიზმში — იგი გადაშენდება.

6. მე ვაძლევ კაპიტალისტებს ყველაფერს, რაც კი მათს სულსა და გულს მოესურვება. ათასნაირ გემრიელ საჭმელებს ვულაგებ მე მათ მაგიდაზე, ჩიტის რძესაც კი არ ვაკლებ — მაგრამ მე მათ ვართმევ მადას. მე მათ სარეცელს ვავსებ ახალგაზრდა, ხვევნა-კოცნაში გამოცდილ ლამაზ ქალებით — თვით მათ კი გრძნობების სიმძაფრეს ვუკარგავ. მთელი მსოფლიო ჩემს რჩეულთ ეჩვენებათ გულის ამრევ, მომაბეზრებელ და უღირს რამედ. ისინი მთელ თავის დღეში — მთქნარებაში არიან. ისინი სჩივიან ამა ქვეყნის ამაოებას, ხოლო სიკვდილი რომ მოაგონდებათ — შიშით სისხლი ეყინებათ.

7. როცა მე მომეპრიანება, მე, სრულიად მოულოდნელად და ადამიანის გონებისათვის გაუგებარ მიზეზთა გამო — უცებ ვაუბედურებ ჩემს რჩეულთ და გადვისვრი მათ სიღატაკის მორევში, დაქირავებულ შრომის ცეცხლში.

8. კაპიტალისტები ჩემს ბრმა იარაღს წარმოადგენენ. მე მათ ვხმარობ, ვითარცა ათასნაირ თასმით დაწნულ მათრახს, რათა დავირეკო დაქირავებულ მუშათა სულელური ფარა. მე ჩემი რჩეულნი საზოგადოებრივ კიბის უმაღლეს საფეხურზე ამყავს და ხიზღით ვუცქერი მათ.

9. მე ვარ ღმერთი, მსახვრელი ადამიანებისა და შემრყევი მათი გონებისა.

10. ძველ კლასიკურ ხანის პოეტმა იწინასწარმეტყველა კაპიტალიზმის ეპოქის დადგომა; მან სთქვა: „ეხლა სიკეთე და ბოროტება ერთმანეთში არეულა, მაგრამ მოვა დრო, ოდეს არ იქნება არცა ოჯახი, არცა ნათესაობა, არცა სამართალი, არცა სათნოება. აიდი და ნემეზიდა კვლავ ამაღლდებიან ცათა და ბოროტების საწინააღმდეგოდ აღარ იქნება აღარავითარი საშუალება[1]).“ ეს დრო, რომელზედაც ოდესღაც ლაპარაკობდნენ, უკვე დამდგარია: მსგავსად ხღვის ვეშაპებისა და ტყის ველურ ნადირთა ადამიანები შეუბრალებლად სჭამენ ერთმანეთს.

11. მე სიცილად არ მყოფნის ადამიანის ბრძნული ქადაგება: „იშრომე, რათა აგცილდეს შიმშილი, იშრომე და შენი ბეღლები აღივსება პურით“ — ამბობდენ ძველად.

მე კი ვამბობ: „იშრომე, სიღარიბე და გაჭირვება იქნება შენი ერთგული თანამგზავრი, იშრომე და მალე დაიცლება სახლი შენი“ (მონ-პიეტე).

12. ჩემს ყველასათვის ერთნაირად მძიმე უღლის ქვეშ ქედს იხრიან ამაყნი. მე ვანიავებ ადამიანის თავმომწონე და ეგოისტურ ინდივიდუალობას. მე ბეც და სულელ კაცობრიობას ვამზადებ მომავალ თანასწორობისათვის. მე ერთ უღელში ვაბამ დაქირავებულ მუშასა და კაპიტალისტს და კომუნისტურ საზოგადოების ფორმათა შესამუშავებლად ვამუშავებ. ადამიანებმა ცათა ზედან ჩამოაგდეს ბრამა, იუპიტერი, იეღოვა, ქრისტე, ალლაჰი — მე კი თვითონ მოვისპობ ჩემს თავს.

13. ოდეს კომუნიზმი საზოგადოების კანონად გადაიქცევა, კაპიტალის სამეფოს (რომელიც აწმყო და წარსულ თაობათა სიცოცხლეს

---

[1]) ეს წინასწარმეტყველება კაპიტალისტურ ეპოქის მოსვლის შესახებ, წინასწარმეტყველება უფრო მართალი, ვიდრე წინასწარმეტყველება მქადაგებელთა იესოს მოვლინების შესახებ — არის ჰეზიოდის თხზულებაში: „შრომანი და საქმენი“.

პ. ლაფარგის შენიშვნა.

შეიცავს) აღსასრულიც დადგება. კაპიტალი აღარ იქნება ქვეყნის უფალი; იგი დაემორჩილება მშრომელს, რომელიც მას ასე სძულს. ადამიანი აღარ იხოხებს მუცელზე თავის მარჯვენის და თავის გონების ნაწარმოებთა წინაშე. ადამიანი ფეხზე წამოდგება მაშინ და. გასწორდება რა წელში, ბატონის თვალით გადახედავს მთელს ბუნებას.

14. კაპიტალი იქნება ღმერთთა შორის—ღმერთი უკანასკნელი.

V. კაპიტალისტის ლოცვები.

1. ლოცვა უფლისა.

მამაო ჩვენო, კაპიტალო, რომელი ხარ ქვეყანასა ზედა! [1]) ღმერთო ყოვლად შემძლებელო, რომელიცა შეუცვლი კალაპოტს წყალთა და გასჭრი მთათა, რომელიცა განყობ ხმელეთსა და აერთიანებ ერებსა. ღმერთო, შემომქმედო საქონლისა და წყაროვო ცხოვრებისა, უფალო და მბრძანებელო მეფეთა და მის ქვეშევრდომთა, მუშათა და მათ ბატონთა. მოვედინ სუფევა შენი მთლად ქვეყანასა ზედა!

მოგვეც ჩვენ მუშტარნი, მყიდველნი ჩვენი საქონლისა სულ ერთია, კეთილნი თუ ბოროტნი!

მოგვეც ჩვენ მუშები საწყალი, რათა დათანხმებოდენ უდრტვინველად ყოველსა სამუშაოსა და კმაყოფილდებოდენ სულ მცირესა სასყიდელსა!

მოგვეც ჩვენ უბრყვილონი სულით და გულით, რათა სჯეროდეს მათ განცხადებანი ჩვენნი!

აიძულე, უფალო, მოვალენი ჩვენი გადიხადონ ვალი[2]) თვისი სრულად და გაგვინაღდე სავსებით თამასუქნი ჩვენნი!

---

[1]) რომელიც ბატონობს ამ სოფლად.

[2]) ქრისტიანული „მამაო ჩვენო“ შედგენილია მათხოვართა და მოხეტიალეთაგან—ღატაკთათვის, რომელნიც ვალებით ყელთამდე აღსავსენი იყვნენ და ამიტომ ჩვენნი“, ნათქვამია ამ ლოცვაში („თანანადები“ ვალს ნიშნავს საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონის მოწმობით—მთარგმნ.). მაგრამ როდესაც ქრისტიანობა მიილიანის ლექსიკონის მოწმობით—მთარგმნ.). მაგრამ როდესაც ქრისტიანობა მიიღეს მესაკუთრეებმა და მეჯახშეებმა, ეკლესიის მამებმა პირველადი ტექსტის სიტყვა „თანანადებნი“ (ვალი) უნამუსოდ განმარტეს, როგორც „შეცოდებანი, შეცოდებანი“. ტერტულლიანმა, ეკლესიის სწავლულმა მამამ და მდიდარმა მესაკუთრაცყოფანი“. ეს ეს ეს

ნუ განაღებ ჩვენთვის კარსა „მოვალეთა საპყრობილისასა“ და გვიხსენ ჩვენ გაკოტრებისაგან. ამინ!

Ძ. მრწამს და აღვიარებ.

მრწამს და აღვიარებ, რომ კაპიტალი განაგებს თანასწორად სულსა ჩვენსა და ნივთიერებას.

მრწამს ერთი მოგება—ძე მისი კანონიერი და კრედიტი—სული წმიდა, რომელი მამისგან გამოვალს, მამისათანა და ძისათანა თაყვან იცემების.

მრწამს ოქრო და ვერცხლი, რომელთაც აწამებენ ზარაფ-ხანაში, და შემდგომად ცეცხლში წრთობისა, სჭრიან რგოლებად და მოევლინება იგი ამა ქვეყანას კანონიერ ფულად, რომელიცა თავის სიმძიმისა გამო ვერ იტანს ქვეყნად ტრიალს და ჩაეშვება ბანკის სალაროებში, რათა განაცოცხლოს იქ ქაღალდის ფულები.

მრწამს ხუთპროცენტიანი რენტა, აგრეთვე რენტა სამ და ოთხ პროცენტიანი და ღირებულებათა თავისუფლად სყიდვა-გაყიდვა.

მრწამს სახელმწიფო ვალების ნუსხა, რაიცა უზრუნველჰყოფს კაპიტალს ვაჭრობისა, მრეწველობისა და სესხთა საფრთხისაგან.

მრწამს წმიდა და პატიოსანი საკუთრება, ნაყოფი სხვათა შრომისა და ხელუხლებელი უკუნითი უკუნისამდე.

მრწამს აუცილებლობა სიღატაკისა, ვინაიდან იგი არს მომწოდებელი მუშა ხელისა და დედა ზედმეტ მუშაობისა[1]).

მწამს მარადისობა დაქირავებული შრომისა, რომელიც ანთავისუფლებს მუშას საკუთრების მოვლა-პატრონობისაგან.

მრწამს გადიდება სამუშაო დღისა, შემცირება ხელფასისა და აგრეთვე ფალსიფიკაცია სანოვაგისა.

მრწამს წმიდა მცნება: **ვიყიდო იაფად და ვყიდო ძვირად**. მრწამს აგრეთვე პრინციპები ჩვენის წმიდა ეკლესიის—ოფიციალურ პოლიტიკურ ეკონომიისა.

ამინ.

---

[1]) ზედმეტ ღირებულების წყარო.

3. იხარებდე.

იხარებდე, მომადლებულო სიღატაკევ, რამეთუ შენ ამშვიდებ და ფერხთით განართხობ მუშას, გულ-ღვიძლსა და კუჭს უწვავ მას შიმშილით, იხარებდე განუყრელო მტანჯველო მუშისა, რამეთუ შენ აიძულებ მას გაჰყიდოს თავისუფლება თვისი და მარადის იყოს ლუკმა-პურისა მძებნელი; შენ, დამამშვიდებელო ყოველგვარ დრტვინვისა, მუშათა, მათ ცოლთა და შვილთა ჩამაგდებელო კაპიტალისტურ კატორღის იძულებით მუშაობაში; გიხარიდეს მომადლებულო სიღატაკევ. ქალწულო წმიდა, მშობელო კაპიტალისტურ მოგებისა, მრავალნენ ღმერთო, მომსყიდველო ჩვენდამი საზიზღარ მუშათა კლასისა. კურთხეულ იყავ შენ!

დედავ უბიწო და ნაყოფიერო, ზედმეტო შრომავ, მშობელო რენტისა, მღვიძარებდე ჩვენთა და ჩვენდა მოყვასთათვის!

ამინ.

VI. დიდება ოქროს.

ოქროვ—ჯადოქარო საქონელო, რომელიცა შეიცავ თავსა თვისში—ყველა სხვა საქონელს!

ოქროვ—შენ ხარ ღმერთი, რომლითაც ყოველივე განიზომების! შენ ხარ ყველაზე სრული, ყველაზე იდეალური განხორციელება კაპიტალისა უფლისა ჩვენისა.

ბუნების ელემენტთა შორის შენ ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე მშვენიერი ხარ.

შენ, რომელმაც არ იცი, რა არის ჟანგი და დაძველება.

ოქროვ, უცვლელო საქონელო, ცეცხლოვანო ყვავილო, მბზინავო სხივოსანო, მზევ ბრწყინვალე, ხელუხლებელო მეტალო, რომელიც ამოღებული ხარ წიაღიდან მიწისა, რომელიცა არის დედა ყველა საგანთა—შენ ბრუნდები უკან, რათა ჩანიფლე მევახშეთა ბნელ კუნჭულში შენახულ ზანდუკებსა და ბანკების სარდაფებში; შენ იქიდან, იმ საიდუმლო ხვრელიდან, სადაც შენ გაგროვებენ—ძალას მოჰმადლებ უბრალო ქალალდს, რომელიც თავის მხრით ზრდის შენს ფასსა.

ოქროვ—უძრავო ნივთო, რომელიც ამოძრავებ მთელ მსოფლიოს, შენი ბრწყინვალების წინაშე ქედს იხრიან საუკუნეთა განმავლობაში ადამიანები და თაყვანსა გცემენ, ვითარცა ღმერთსა.

დააჯილდოვე მადლითა შენითა ერთგულნი შენი ქვეშევრდომნი, რომელნიცა შენდამი ლოცვასა აღავლენენ, რომელნიცა შენისა მო-

პოებისათვის ზვარაკად სწირავენ ნამუსსა და სახელსა თვისსა, სათნოებასა და სიყვარულსა სატრფო ქალისასა. საკუთარ. შვილთა და არ ჩერდებიან საკუთარ თავზე ხელისა აღების წინაშე.

ოქროვ, ღმერთოვო მაღალო, მარადის ძლევამოსილო. ისმინენ თხოვნანი ჩვენნი!

შემომქმედო ქალაქთა და დამაქცეველო სახელმწიფოთა.

ზნეობის გზის მაჩვენებელო ვარსკვლავო.

შენ, რომელიცა ერებს კანონებს უკარნახებ, შენს უღელში აბამ პაპებსა და იმპერატორებს,—ისმინენ თხოვნანი ჩვენნი!

შენ, მომსყიდველო მოსამართლის განაჩენისა და დეპუტატის ხმისა—ისმინენ თხოვნანი ჩვენნი!

შენ, რომელიცა ხარ საზომი ადამიანთა სინდისისა.

შენ, რომელიც ასწავლი მეცნიერებს გააყალბოს მეცნიერება, რომელიც აიძულებ დედას გაჰყიდოს თავისი უბიწო და ჯერედ გაუხრწნელი ბავშვი, შენ, რომელიც აიძულებ მუშებს დაქირავებული შრომა გასწიონ—ისმინენ თხოვნანი ჩვენნი!

შენ, რომელიცა ჰქმნი ბუნებისათვის უცხო ყვავილებსა და ნაყოფს, შენ, რომელიცა სთესავ სათნოებასა და ცოდვას, ჰქმნი ფუფუნებასა და ხელოვნებას—ისმენენ თხოვნანი ჩვენნი!

შენ, რომელიცა ადღეგრძელებ მუქთა-ხორათა უსარგებლო ცხოვრებას და სიცოცხლეს უმოკლებ მუშებს—ისმინენ თხოვნანი ჩვენნი!

შენ, რომელიცა ღიმილით ხვდები კაპიტალისტს ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი აკვანშია და პროლეტარის დაღს ასვამ მუშას დედის მუცელშივე—ისმინენ თხოვნანი ჩვენნი!

ოქროვ, დაუღალავო მოგზაურო, რომელსაც ასე გიყვარს შური და დავიდარაბა—აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი!

განმმარტებელო ყოველთა კილოთა და ენებისა, მოხერხებულო შუამავლო, მხიბლავო შემაცდენელო, საზომო კაცთა და ნივთთა—აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი!

მახარობელო მშვიდობისა და მთვესელო შფოთიანობისა, მომმადლებელო ზედმეტ მუშაობისა და შემქმნელო დასვენებისა.

თანაშემწევ სათნოებისა და უზნეობისა, მომქმედო სიტყვისა ძალითა, მომმადლებელო ყრუთათვის სმენისა, მუნჯთა ენის ამომდგმელო,—აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი!

ოქროვ, ყველასაგან წყეულო და ყველასაგან ნატრულო, პატივცემულო კაპიტალისტების მიერ და საყვარელო კურტიზანკათა—აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი!

მთესველო მიწიერ სიკეთეთა და უბედურებათა!

ვაებავ და სიხარულო ადამიანთა: განმკურნებელო დაავადებულთა, სასწაულებრივო მალამო ყოველთა ტანჯვათა და ტკივილისა, —აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი!

შენ, რომელიცა აღსავსებ ქვეყანას საკვირველებითა და დანათრობ ადამიანთა გონებას.

შენ, რომელიცა მოჰმადლებ მახინჯსა სილამაზეს და უშნოს—სინარნარეს, შენ, რომელიცა პატივისცემითა და საყოველთაო დიდებით ჰმოსავ უნამუსობასა და სირცხვილს, —აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი!

შენ, რომელიცა სიმხდალეს ჰმოსავ ვაჟკაცობის შესაფერ დიდებით, მშვენიერების კუთვნილ ქებათა-ქებას ასხამ სიმახინჯეს, მოჰმადლებ ახალგაზრდობის მსგავს სიყვარულს ძალ-მილეულ სიბერეს.

ბორიტო ჯადოქარო —აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი.

ქაჯო, მომავლინებელო დანაშაულობათა—სიგიჟით მსუნთქავო,—აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი.—

ანთებულო ჩირაღდანო, მანათებელო ცხოვრების გზისა, ხელმძღვანელო, და დამცველო, გადამრჩენელო ღუზავ კაპიტალისტებისა,—აგვისრულე ნატვრანი ჩვენნი!

* * *

ოქროვ, გვირგვინო დიდებისა, მზეო სამართლიანობისა.

ოქროვ, ძალავ და სიხარულო ცხოვრებისა.

ოქროვ, ყველასგან ქებულო, მოვედინ ჩვენდა!

ოქროვ, მწყალობელო კაპიტალისტისა და შეუბრალებელო მუშებისადმი.

ხორცსხმულო სიამე და ნეტარებავ! შენ, რომელიცა მიჰმადლებ მუქთახორას სხვისი შრომის ნაყოფს—მოვედინ ჩვენდა!

შენ, რომელიც აღავსებ ბელელსა და საკუჭნაოს ადამიანთა, არცა მთესველთა და არცა მხვნელთა, არცა მომკელთა, არცა მთოხნელთა და არცა ვენახისა მომვლელთა—მოვედინ ჩვენდა!

შენ, რომელიც ჰკვებავ ხორციოთა და თევზეულობით ადამიანებს, რომელნიც არასოდეს აძოვებენ ნახირს მინდვრად და რომელთაც არ იციან—რა არის ხღვაზე ქარიშხალი, მოვედინ ჩვენდა!

შენ, ცოდნავ, ძალავ და გონებავ კაპიტალისტისა—მოვედინ ჩვენდა!

შენ, სათნოებავ და დიდებავ, სილამაზევ და ნამუსო კაპიტალისტისა,—მოვედინ ჩვენდა!

ჰოი, მოვედინ ჩვენდა, მხიბლავო ოქროვ, უმაღლესო ოცნებავ. დასაბამო და დასასრულო ყოველთა მოქმედებათა, ყოველთა ფიქრთა და ყოველთა გრძნობათა კაპიტალისტისა! ამინ.

VII. ჩივილი იობისა—როტშილდის, კაპიტალისტისა.

კაპიტალო, უფალო ჩემო, რისთვის მიმატოვე მე? რა შეგცოდე ისეთი, რომ ჩემი სიმდიდრის სიმაღლიდან ჩამომაგდე და მაიძულებ აუტანელ სიღატაკეში სული მხდებოდეს?

განა არ ვასრულებდი შენს კანონებს? განა პირდაპირი და კანონიერი არ იყო ყოველი ჩემი საქციელი? განა შეუძლიან წამომაყვედროს ვინმემ—შენ ოდესმე მუშაობდიო? და მერე, განა მე არ ვსარგებლობდი ცხოვრებაში ყოველი სიკეთითა და სიამოვნებით, რაიცა ჩემი მილიონებით შეიძინებოდა და რის უფლებასაც ჩემნი გრძნობანი მაძლევდნენ? განა მე არ ვიყავი, ქალებსა, კაცებსა და ბავშვებს რომ დღე-ღამე ვამუშავებდი, ღღინს ვაცლიდი და კიდევ მეტსაც ვუშვრებოდი? განა ოდესმე მიმიცია მე მათთვის იმ ხელფასზე მეტი, რაიც მათ სანახევროდაც არ ჰყოფნიდათ და მშიერნი იყვნენ? განა ოდესმე გული ამჩუყებია ჩემი მუშების გაჭირვებისა და სიღატაკის ცქერით?

მე ვამზადებდი გასაყიდად ყალბ საქონელსა და სანოვაგეს და არასოდეს არ მიფიქრნია, თუ რამდენად ვსწამლავდი მით მყიდველებს. მე ჯიბეები დავუცარიელე იმ უჭკუოებს, რომელთაც სჯეროდათ ჩემი რეკლამების სიმართლე.

მე ვსცხოვრობდი მხოლოდ იმიტომ, რომ სიამ-ტკბილობაში ვყოფილიყავ და გავმდიდრებულიყავი და შენ აკურთხე ჩემ: უბიწო მოქმედებაჲ, მომეცი მე ქალები, ბავშვები, ცხენები და მსახურნი. შენ მე მომანიჭე ყოველივე სიამე ამა სოფლისა და ყოველივე სიტკბოება ამა ქვეყნისა.

და უცებ ყველაფერი ეს დამეკარგა, ყველაფერი! მე ყველასათვის საზიზღარი, საზოგადოების ნაძირალი შევიქენი.

ჩემს მტრებს უხარიანთ ჩემი დახრჩობა, ჩემი მეგობრები კი ზედაც აღარ მიყურებენ. ისინი არ მაძლევენ უსარგებლო რჩევასაც კი; საყვედურსაც კი არავინ მეუბნება—მე სრულიად არავინ მამჩნევს. ჩემი საყვარლები თავს ლაფს მასხამენ და იმ კარეტებით კი დასეირნობენ, რომელიც ჩემი ფულითაა ნაყიდი.

უბედურება შემომხვევია ყოველი მხრით და იგივე უბედურება, ვითარცა კედლები საპყრობილისა—მაშორებს მე დანარჩენ კაცობრიობისაგან. მე მარტო ვარ—და ბნელეთი გამეფებულია ჩემში და ჩემს გარეშე.

ჩემს ცოლს უკვე აღარა აქვს ფერ-უმარულის ფული და თვალწინ მიდგას მთელი თავისი სიმახინჯით. ჩემს შვილს, რომელიც აღზრდილია უსაქმურობასა და ზარმაცობაში, არც კი ესმის მთელი საშინელება იმ უბედურებისა, ეხლა თავს რომ დამტეხია. იდიოტი! ჩემს ქალიშვილს ცრემლები ღვარისაებრ ჩამოსდის, როდესაც იგონებს თავის სამუდამოდ დაკარგულ საქმროებს.

მაგრამ რა არის ჩემს ახლობელთა უბედურება, ჩემს ვაეებასთან შედარებით! იქ, სადაც მე, ვითარცა ბატონ-პატრონი ყველაფრისა—ამაყად ბრძანებებს გავსცემდი—იქ ეხლა ზედაც არ მიყურებენ და ოდეს მე სამუშაოს ვთხოულობ—ფეხის ბრახუნით მაგდებენ გარედ.

ჩემს ხვრელში—ტალახია და სიბინძურე. სხეული ჩემი, ხმელ ლოგინზე წოლით დამტვრეული, ბაღლინჯოებითა და საზიზღარ მკბენარებით ასისხლებული—ვერსად ჰპოულობს მოსვენებას; ჩემმა გონებამ არ იცის, რა არის ძილი, ძალთა აღმადგენელი.

ოჰ, რა ბედნიერები არიან ღარიბნი, რომელთაც არასოდეს არა უნახავთ რა—გარდა სიღატაკისა და სიბინძურისა! მათ არ იციან, თუ რამდენი სიკეთე, რამდენი სიამეა ქვეყნად. მათ სქელი ტყავი აქვთ და გრძნობა დაჩლუნგებულნი არიან, მათ არაფერი ეზიზღებათ და ყველაფერს იტანენ.

ჰოი, ბედო ჩემო, რისთვის განმაცდევინე ნეტარებანი, ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მოგონება ღა დამრჩენოდა, მოგონება უფრო მძაფრი და უფრო მწვავი, ვიდრე ქაღალდის მოთამაშის ვალი.

ჰოი, უფალო, მირჩევნოდა სიღარიბეში დავბადებულიყავი, ვიდრე ამ ყოფას მოვესწრებოდი მას შემდეგ, რაც შენ აღმიყვანე მაღლობზე ყოველივე სიკეთისა.

რა შემიძლიან, რა უნდა ვაკეთო, რომ ლუკმა პური მოვიპოვო?

ჩემი ხელები ოქროს ბეჭდებსაა შეჩვეული, მათ მხოლოდ საკრედიტო ბილეთების ჭერა შეუძლიანთ, არც ერთ ხელობას არ არიან ჩვეულნი. გონება ჩემი მხოლოდ იმაში იყო გართული, რომ რამენაირად მუშაობას არას წავწყდომოდი; სიმდიდრის ტვირთი მაწვა მხოლოდ, სევდა მორეული ვიყავ უსაქმობისაგან, მე ვებრძოდი მოყირჭებისაგან გამოწვეულ უგუნებობას—და, რასაკვირველია, ჩემი გო-

ნება იმას ვერ აიტანს, რომ რიცხვთა მიმატება და ქაღალდების გადაწერა დავიწყო.

განა საფიქრებელი იყო, რომ ასე სასტიკად დასჯილ ადამიანს, რომელსაც არასოდეს არ უგულებულუყვია არც ერთი შენი ბრძანება?

ეს ხომ ბოროტებაა, უსამართლობაა, უზნეობაა—დავკარგო მთლად ის სიკეთე და დოვლათი, რაიცა სხვების მძიმე და ხანგრძლივ შრომით მქონდა მოპოვებული!

კაპიტალისტები, მოყვასნი ჩემნი, ჩემი უბედურების დამნახველნი—მიხვდებიან, რომ შენ თავქარიანი ყოფილხარ და მადლს ანიჭებ მათ შენი ქეიფის მიხედვით, აჯილდოვებ მათ, არავინ იცის, რისთვის და ყველაფერს ართმევ—არ იციან, თუ რად.

ვინ ღა დაგიჯერებს, ვინ ღა მოგენდობა შენ?

რომელი კაპიტალისტი ღა იქნება ისეთი სულელი, რომ იცხოვროს თანახმად შენი კანონებისა, იყოს უსაქმურად, მიეცეს უსარგებლო განცხრომას და სიამეს,—თუ კი ასეთი მომავალი ექნება, თუ მისი კეთილი ცხოვრება უზრუნველყოფილი არ იქნება, თუ კი ბირჟის სულ შეუჩნეველი და უმნიშვნელო ცვლილებანი უცბად გაანიავებს კაპიტალისტთა მთელ საცხოვრებელს, თუ კი ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, თუ კი დღევანდელი მდიდარი—ხვალ ულარიბესზე უფრო უბედურ ღატაკად გადაიქცევა?

ადამიანები წყევლა-კრულვას იტყვიან შენზე, ჩემს ასე დამცირებას რომ შეხედავენ. ისინი აღარ დაიჯერებენ ყოვლად შემძლებლობას, გაეცნობიან რა ჩემს ასე მწარედ დაცემას. ისინი ხელს ჰკრავენ და აღარ მიიღებენ შენს მადლსა.

შენს დიდებასა და სახელს გაფიცებ, დამიბრუნე ჩემი ძველი მდგომარეობა, აღმადგინე უფსკრულიდან და აღმიყვანე კვლავ იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ვიყავი. გული ჩემი სავსეა შხამით და ენაზე მადგია უკვე სიძულვილისა და წყევლა-კრულვის სიტყვები.

კერპო შეუბრალებელო, ბრმავ და უგონო—გეშინოდეს, რომ მდიდრებს თვალი არ აეხილოთ და, ბოლოს და ბოლოს არ დაინახონ, რომ ისინი უზრუნველად, თავის და შეუმცნობლად—უფსკრულის პირას დაცეკვავენ. გეშინოდეს და თრთოდე—რათა ხელი არ გტაცონ და თვით შენ არ გადაგისროლონ იმ უფსკრულში, რათა პირამდე აღავსონ იგი; გეშინოდეს, რომ ისინი არ შეუერთდნენ კომუნისტებს და შეერთებული ძალით არ მოგსპონ სავსებით.

მაგრამ რას ვამბობ, რა ღვთის გმობა წამომცდა! მაპატივე ჩემი გაუფრთხილებელი და უწმინდური სიტყვები.

შენ ხარ უფალი, მომმადლებელი ყოველთა სიკეთეთა, არავინ იცის, რა დამსახურებისთვის და წამრთმეველი იმავე სიკეთეთა— არავინ იცის, რა დანაშაულობისათვის—შენ მოქმედებ ნებითა და უწყი, რასაც იქმ.

შენ მე ჩემსავე სარგებლობისთვის გამცირებ, შენ მე ჩემსავე სიკეთისათვის მაგდებ ტანჯვა-ვაებაში.

ჰოი, გულკეთილო და მოწყალეო, მომხედე კვლავ სიყვარულით. შენ თვით სამართლიანობა-ჭეშმარიტება ხარ და თუ შენ მსჯი, ალბად ოდესმე ჩემდა უნებურად შენს წინაშე რაიმე დანაშაული ჩამიდენია.

დამიბრუნე სიმდიდრე ჩემი და აღთქმას ვსდებ—წინანდელზე უფრო სასტიკად აღვასრულო კანონები შენი. მე წინანდელზე უფრო ხეირიანად გავაძრობ ტყავს დაქირავებულ მუშებს, წინანდელზე უფრო მოხერხებულად მოვატყუებ ჩემს მუშებს, წინანდელზე უფრო კარგად გავფცქვნი პირ-ღია და გულუბრყვილო ადამიანებს.

მე მორჩილი ვარ, მონა შენი, ვითაარცა მონაა თავის ბატონისა ძაღლი, რომელსაც ბატონი ურტყამს. მე ვარ ნივთი შენი და იყავ ნება შენი!

საქართვ. კომ. პარტ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემანი:

1. **ლ. ტროცკი**—იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შუა.
2. **ა. ბოგდანოვი**—მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა.
3. **ე. ბლონინა**—მუშა-ქალი ინტერნაციონალში.
4. **კ. მარქსი**—საქირაო შრომა და კაპიტალი.
5. **ი. სტეპანოვი**—ნარკვევი რელიგიურ რწმენათა განვითარებიდან.
6. **ზ. ლილინა**—კომუნისტური ოჯახიდან კომუნისტურ საზოგადოებისაკენ.
7. **რეზოლიუციები** რ. კ. პ. მე-12 კონფერენციისა.
8. **რ. სოსნოვსკი**—Расея (რუსეთი).
9. **ნ. ბუხარინი**—სკოლა და ეკლესია საბჭოთა რესპუბლიკაში.
10. **ვ. ნევსკი**—დღესასწაულები—ქრისტიანული და მუშურ-გლეხური.
11. **გ. ჩიჩერინი**—ნარკვევი ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ისტორიიდან.
12. **ლ. ტროცკი**—ოქტომბრის რევოლიუცია.
13. **გ. ზინოვიევი**—III კომუნისტური ინტერნაციონალი.
14. **ი. სტეკლოვი**—ისტორია მუშათა მოძრაობისა.
15. **ბატურინი**—ნარკვევი სოციალ-დემოკრატიის ისტორიისა რუსეთში ოლმინსკის წერილით 1905—1914 წლამდე.
16. ქვეყნიერების გაჩენა და განვითარება.
17. **პავლოვი**—წარმოშობა მუშათა კლასისა რუსეთში და მისი პირველი ნაბიჯები.
18. კომუნისტური ინტერნაციონალის მე-4 კონგრესი (უმთავრეს მოხსენებათა კრებული).
19. **ნ. ლენინი**—კარლ მარქსი.
20. **ვ. ლიბკნეხტი**—მოგონებანი მარქსის შესახებ.
21. **კ. ნოვიცკი** (პეტროვინი)—როგორ ჩამოაგდეს მეფე 1917 წ. რუსმა მუშებმა და ჯარისკაცებმა.
22. **ი. ვარდინი**—პოლიტიკური პარტიები და რუსეთის რევოლიუცია.
23. **ა. ლოგინოვი**—მეცნიერება და საღმრთო წერილი.
24. პროპაგანდისტის თანამგზავრი (ისტორია ქვეყნის გაჩენისა, პოლიტიკური ეკონომია და რევოლრუც. მოძრაობის ისტორია).
25. **პროფ. გურვიჩი**—საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები.
26. **კ. ნოვიცკი** (პეტროვინი)—მეფის თვითმპყრობელობიდან პროლეტარიატის დიქტატურამდე.

33
ლ 291

27. ი. ალექსეევი—ცხოველთა და ადამიანთა წარმოშ
28. ფ. მერინგი და **პ. ლაფარგი**—ფრ. ენგელსი.
29. **გ. პლეხანოვი**—მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
30. **მარქსი და ენგელსი**—კომუნისტური მანიფესტი დ. რიაზანოვის კომენტარიებით.

მზადდება დასაგეჭდად:

31. **ნ. ბუხარინი**—იმპერიალიზმი და მსოფლიო მეურნეობა.
32. **გ. კუნოვი**—წარმოშობა რელიგიისა და ღვთისადმი რწმენისა.
33. **გ. პლეხანოვი**—მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
34. **ნ. ბუხარინი**—თეორია ისტორიული მატერიალიზმისა.
35. **სტუჩკა**—რევოლიუციური როლი უფლებისა და სახელმწიფოსი.
36. **სტუჩკა**—მეცნიერება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფოსა და კონსტიტუციაზე.
37. **გ. დევილი**—მეცნიერული სოციალიზმი.
38. **ი. სტალინი**—კრებული წერილებისა ეროვნულ საკითხთა შესახებ.
39. **ვოლფზონი**—სოციოლოგია.
40. **ლაფარგი**—შრომა და კაპიტალი.